საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 166 (2082) | ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 1995 წელი | ფასი 25 თეთრი

სულეიმან დემირელი ტელეფონით ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს

7 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის გამოქვეყნებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ოფიციალური შედეგები, ბატონმა სულეიმან დემირელმა მიულოცა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება. მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტმა საუბარში აღნიშნა, რომ თურქეთი გააგრძელებს იმ კეთილმეზობლურ კურსს, რომელიც მას აღებული აქვს საქართველოსთან ურთიერთობაში.

მოლაპარაკება კვლავ ჩაიშალა

ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკების ახლანდელი რაუნდი 2 ნოემბერს დაიწყო. დიალოგი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. საქართველოს დელეგაციას მეთაურობდა სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი, საქართველოს ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე, აფხაზთა დელეგაციას — აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარე სოკრატ ჯინჯოლია, რუსეთის შუამავლებს წარმომადგენლობდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი.

როგორც პროგრამა „მაცნემ“ წუხელ გადმოსცა, მოსკოვში კვლავ ჩაიშალა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების ეს რაუნდი. ეჭვს აღარ იწვევს, რომ აფხაზ სეპარატისტებს, დიდი იმედი აქვთ რუსეთში დეკემბრის არჩევნებში ისეთი ძალების გამარჯვებისა, რომლებიც მხარს დაუჭერენ [illegible] შეერთებას რუსეთ-

ჩვენს თავსაც გამოვკვებავთ

ვიზიტიდა

და... სხვას დავეხმარ

[illegible] კრედიტისათვის [illegible] ებულ მსოფლიოში მიწის გირაო და ჰიპოთეკა გამოიყენება. გარდა იმისა, რომ იგი იძლევა სეს-

ის აღებისა და დაფარვის მკაცრ საგარანტიო სისტემას, ქმნის აგრეთვე შესაბამის პირობებს მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბებისათვის, დანაწევრებული და წვრილკონტურიანი ნაკვეთების 10-20-50-100 და მეტ ჰექტრიან ფართობებად გამსხვილებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მომსახურების, პროდუქციის რეალიზაციისა და სხვა მრავალი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის.

აგრარული ფონდის (სალარო) ორგანიზებისა და ფუნქციონირებისათვის, მისი საწყისი კაპიტალის ფორმირებისათვის შესაძლებელია ფინანსური წყაროების გამონახვა, როგორიცაა მიწის გადასახადიდან შემოსული (რომლის პროექტიც 1992 წელს იყო [illegible] და სასოფლო-სა-

[illegible] აქციონირება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა სრული უგულებელყოფით მიმდინარეობს. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა განსახელმწიფოებრიობაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ნედლეულის მწარმოებლებიც. ეს არა მარტო აღადგენს სოციალურ სამართლიანობას (გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების დიდი ნაწილი ძირითადად შექმნილია ნედლეულის მწარმოებელთა ხარჯზე, რამდენადაც მათ პროდუქციას წლების განმავლობაში მინიმალურ სახელმწიფო ფასებში, ხშირად იძულებით აბარებინებდნენ), არამედ შექმნის გარკვეულ საფუძველსაც სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საერთო ინტერესებისათვის. სასოფლო-სამეურნეო [illegible] პირველ-

[illegible] შემდგომი განვითარებისათვის მიმართავენ. ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (განსაკუთრებით მარცვლეულის) წარმოების გადიდება შედის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინტერესებში, რამდენადაც ეს მათ აძლევს დიდი მოცულობის ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირების თანდათან შემცირების საშუალებას. ჩვენთვის კი მას მხოლოდ ერთჯერადი მოხმარების ფუნქცია არ უნდა ეკისრებოდეს.

ფინანსური რესურსების გარეშე აგრარული რეფორმის რა ეფექტიანობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა სოფლად საქონელმწარმოებელს გადასაწყვეტი აქვს მინერალური სასუქების, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების, თესლის და სარწყავი წყლის პრობლემა. დღემდე ვერ მოხერხდა ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების, მათ შორის ტექ-

ჟამი დიდი არჩევნისა

პოლიტიკურ ძალთა განლაგება იგივე დარჩა

8 ნოემბერს მორიგ პრესკონფერენციაზე, რომელიც საქინფორმთან შექმნილ არჩევნების გამაშუქებელ პრესცენტრში გაიმართა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ დამსწრეთ გააცნო ამ დროისათვის მის ხელთ არსებული ხმების დათვლის წინასწარი შედეგები. როგორც მან თქვა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა მონაცემები ყველა საარჩევნო ოლქიდან, და წინასწარი შედეგები, თუმცა მათ ჯერ არა აქვთ ოფიციალური ხასიათი, საკმაოდ ზუსტად ასახავს არჩევნების შედეგებს. ივანე კილურაძის აზრით, შემდგომ ეს შედეგები შეიძლება შეიცვალოს, ოღონდ ძალიან უმნიშვნელოდ.

პრეზიდენტის არჩევნების შედეგებით, რომელშიც 2.134.308 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: საქართველოს 1.555.390 მოქალაქემ ხმა მისცა ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას, ეს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 72,9 პროცენტია. ხმების 19,1 პროცენტი მოაგროვა ჯუმბერ პატიაშვილმა, 1,4 პროცენტი — აკაკი ბაქრაძემ. დანარჩენმა პრეზიდენტობის კანდიდატებმა ამომრჩეველთა ხმების ერთი პროცენტიც ვერ მოაგროვეს. ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი ბიულეტენების 5,3 პროცენტი.

პარტიული სიებით ხუთპროცენტიანი ბარიერი გადალახეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა (23,35 პროცენტი), ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (7,94 პროცენტი), სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა (7,3 პროცენტი). ხმების ოთხ პროცენტზე მეტი მოაგროვეს პოლიტიკურმა ბლოკებმა „საქართველოს ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ — სოციალ-დემოკრატებმა“, „21-ე საუკუნემ“ და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა. ივანე კილურაძის აზრით, მიღებული მონაცემების საბოლოო ანალიზის შედეგად სურათი მნიშვნელოვნად ვერ შეიცვლება. თუმცა იგი არ გამორიცხავს, რომ ზოგმა, ვინც ხუთპროცენტიან მიჯნას მიუახლოვდა, შეიძლება გადალახოს იგი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გია ზესაშვილმა დამსწრეთ გააცნო მაჟორიტარული სისტემით კენჭისყრის წინასწარი შედეგები. 75-დან 41 საარჩევნო ოლქში გაიმართება არჩევნების მეორე ტური. მხოლოდ რუსთავის საარჩევნო ოლქში, სადაც საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები მივიდა, არჩევნები ხელმეორედ მოეწყობა. ეს არჩევნები გაისად გაზაფხულზე გაიმართება. 33 ოლქში კი დეპუტატები განისაზღვრა.

ჟურნალისტებს აგრეთვე აცნობეს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ კენჭისყრაში მონაწილეობდა 9.000-მდე კაცი. მათგან 7.000 მოსკოვში, 1.000-ზე მეტი სოჭში, 500-მდე კაცი — სანქტ-პეტერბურგში და ამდენივე კიევში.

საქინფორმი.

პატრიკ ბრედლი:

ეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები იყო

საუბარი მართლა ხანმოკლე გამოვიდა და რამდენიმეწუთიანი — ბატონ პატრიკ ბრედლის განრიგი, ყოველ შემთხვევაში დღიური, სწორედ წუთებშია ამოწერილი. გავიხსენოთ — პეტრიკ ბრედლი ევროკავშირის კონსულტანტი გახლავთ საქართველოში არჩევნების საკითხებში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის კონსულტანტი. კიდევ: ჩრდილოეთ ირლანდიელია, იქ მთავარი საარჩევნო მოხელის თანამდებობა უჭირავს, 50 წლისა ბრძანდება, ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და ორი ვაჟი, აქვს ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიურ ფსიქოლოგიაში, აგრეთვე მაგისტრის წოდება კონფლიქტოლოგიაში.

— ბატონო ბრედლი, უპირველესად თქვენი საერთო შთაბეჭდილება გაგვიზიარეთ 5 ნოემბრის არჩევნებზე.

— ბევრგან არ ვყოფილვარ, ვაკის, კრწანისის, წყნეთის, კიკეთისა და მთაწმინდის საარჩევნო უბნები მოვიარე. წყნეთში ლტოლვილებიც აძლევდნენ ხმას, მთაწმინდაზე განსაკუთრებული ხალხმრავლობა დამხვდა. ძალიან კარგია, რომ ამდენი ამომრჩეველი იყო და ასე სხვადასხვა ასაკისა. ზოგიერთ უბანში რიგები იდგა ხმის მისაცემი ჯიხურები და კაბინები მეტი უნდა ყოფილიყო.

მე ვნახე საერთაშორისო მეთვალყურეთა ანგარიშები — ფრიად კმაყოფილები ჩანან, თუმცა რაღაც დარღვევებზეც შეიძლება ლაპარაკი.

— სწორედ დარღვევებზე მინდოდა მეკითხა და იმაზეც — მოგმართათ თუ არა რომელიმე პარტიამ პირადად თქვენ საჩივრით.

— უშუალოდ საჩივრებს ფორმალურად არ გავცნობივარ, არ ვიცი, უმნიშვნელო ტექნიკური დეტალებია თუ რაიმე მნიშვნელოვანი. წესი წესია — საჩივრები ჯერ უბნებში გაირჩევა, მერე ოლქებში და იქიდან რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვა, მაშინ ახლოს გავეცნობით.

შემაჯამებლად რომ ვთქვათ, საერთაშორისო მეთვალყურეებს ასეთი აზრი ჩამოუყალიბდათ: არჩევნებმა ჩაიარა თავისუფლად და სამართლიანად; ადგილობრივ მეთვალყურეთა დასკვნები მე არ მიმიღია.

პარტიებზე რა გითხრათ — მე აქ მრჩეველი ვარ და საჩივრებით კომისიას უნდა მიმართონ.

— თქვენ არაერთ ქვეყანაში ხართ ნამყოფი ისეთივე მისიით, როგორითაც საქართველოში; ხომ არ შეადარებდით არჩევნების მიმდინარეობას ჩვენთან და სხვაგან; ორგანიზებულობის პარამეტრით როგორ გამოვიყურებოდით სხვათა ფონზე?

— სხვადასხვა ქვეყანას, რასაკვირველია, აქვს საერთო ნიშნები, აქვს ოპერატიული ხასიათის პრობლემები, ყველას საკუთარი მიმართულებაც ახასიათებს, გააჩნია, რომელ კონტინენტზე მდებარეობს ქვეყანა და რა ხდება, რა სიტუაციაა არჩევნების პერიოდში თვით ქვეყნის შიგნით.

თქვენს არჩევნებში კომისიებსაც და პარტიებსაც ერთი საერთო პრობლემა, ერთი საერთო „ნაკლი“ ჰქონდათ — დროის ნაკლებობა; დროს ხომ ვერ იყიდი.

ერთ გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი: სრულიად აშკარა იყო არჩევნების მოწყობის საჭიროება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეს მთავარი ამოცანა გადაჭრილად უნდა მივიჩნიოთ.

— ბატონო ბრედლი, მესამე თვეა საქართველოში იმყოფებით. კიდევ რამდენ ხანს მოგიწევთ დარჩენა?

— 13 ნოემბრამდე იმედი მაქვს, ცოტა საქმეს როდი მოვასწრებ. 13-ში კი მივემგზავრები.

— მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ და გმადლობთ.

თამაზ ებანოიძე.

კეისარს — კეისრისა!



სამოციან წლებში სურსათსანოვაგე მოსახლეობას თითქოს არ აკლდა. მაგრამ სოციალისტურ სამოთხეში ყველა მართლაც თანასწორად როდი ცხოვრობდა. 1956 წლის სისხლიანი ტერორის შემდეგ საქართველოს ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებული რეჟიმი შეექმნა: ყვაოდა კორუფცია, ფრთებს შლიდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, ყალიბდებოდა ქართული საბჭოთა მაფია, რომელსაც ღრმად გაედგა ფესვები სახელმწიფო სტრუქტურებში. საშუალო ინტელიგენცია, მუშა თუ ხელოსანი კვლავინდებურად შეჭირვებული იყო. ქვეყანას მარიონეტული მთავრობა მართავდა, რომლის ერთადერთი საფიქრალიც ხელისუფლების ტახტის შენარჩუნება იყო.

სტალინის სიკვდილისა და, განსაკუთრებით, 1956 წლის შემდგომ საქართველომ თითქოს სრულიად დაკარგა პოლიტიკური ფუნქცია და იმპერიის არიერგარდში მოექცა. გაუფერულდა ყოფა. ქართველობამ გაუთავებელ ლხინობასა და ფუქსავატობას მიჰყო ხელი. ძმაბიჭობის ტრადიციებმა, რაც ქართული სოციალიზმის თანმხლები ატრიბუტია, განვითარების გზა დაუხშო ნიჭიერებას. იმძლავრა უსამართლობამ, უკანონობამ, აღორძინდა და ახალგაზრდა თაობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი „შავმა მორალმა“. იყო გარკვეული წარმატებებიც — ძირითადად კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სფეროში, მაგრამ ისიც — კანტიკუნტად.

სამოციანი წლების დამლევს საქართველოს დაეტყო იმპერიის ხრწნის ყველა ნიშანი. საქართველო ამ პროცესის ლიდერი გახდა. სულიერების საერთო დეკადანსი, სამწუხაროდ, მარტოოდენ იმპერიაზე როდი ზემოქმედებდა. როდესაც გემი იძირება, წყლის ღრმული ნავსაც ითრევს. და, თუმცა სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ეს განწირულება საყოველთაოდ არ იგრძნობოდა, აშკარა იყო — საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე იდგა. კრიზისი საცნაური შეიქნა იმპერიის მესვეურთათვისაც. სამოცდაათიანი წლებიდან ისინი ცდილობდნენ საკადრო ცვლილებებით, კერძოდ, მაღალ პარტიულ თანამდებობებზე ახალგაზრდა თაობის დაწინაურებით მიეღწიათ ვითარების გაჯანსაღებისათვის. სწორედ ამ ტალღაზე მოვიდა ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე.

ედუარდ შევარდნაძის პიროვნება უკვე პოპულარული იყო ხალხში, მაშინ როცა პოლიტიკური ელიტა მას მაინცდამაინც არ სწყალობდა. მისი პატიოსნებისა და გულისხმიერების შესახებ ლეგენდები დადიოდა.

მან შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა სამართალდარღვევებს, რასაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენელთა საქმიანობის შეზღუდვა მოჰყვა.

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ლამის ნორმად იქცა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, — სამოცდაათიანი წლების საქმოსნების („კომბინატორების“, „ცეხოვიკების“) შეზღუდვა უმართებულოდ, ზოგჯერ — დანაშაულადაც აღიქმება. ამის მიუხედავად, ეპოქის კონტექსტში ეს სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო — არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც პოლიტიკური თვალსაზრისით.

საქმოსნობა იმხანად კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა. საქმოსნები დანაშაულებრივ ალიანსში იყვნენ სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკებთან. სამოცდაათიან წლებში საქმოსანთა მოღვაწეობის მასშტაბები გასცდა საქართველოს ფარგლებს. ისინი უკვე აღარ ეპუებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. აშკარა იყო, რომ მათ გამოუჩნდნენ გავლენიანი მფარველები საკავშირო დონეზე — მინისტრთა საბჭოში, ცენტრალურ კომიტეტში, პოლიტბიუროში. ამრიგად, საქმოსნის სახემ სამოცდაათიან წლებში პოლიტიკური კონტურები შეიძინა. მათი მართვა კრემლიდან ხდებოდა, რაც კიდევ ერთ ბერკეტს აცლიდა ქვეყნის ხელისუფალთ, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მეტროპოლიაზე საქართველოს დამოკიდებულებას. ამრიგად, საქმოსნობის წინააღმდეგ ბრძოლა იმხანად ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას ნიშნავდა, — სუვერენიტეტისა, რომელიც გარკვეული დოზით გააჩნდა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას — იმპერიაში მათი ფუნქციისა და გავლენის შესაბამისად.

ამ ფონზე საქართველოში დისიდენტური, სინამდვილეში — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება სავსებით კანონზომიერი გახლდათ. ამას ხელს უწყობდა დისიდენტთა აქტიურობის ზრდა მთლიანად იმპერიაში. სამწუხაროდ, სხვაგვარად მოაზროვნეთ ხშირად ზომიერების გრძნობა ღალატობდათ. ამის გამო, დისიდენტობა რევოლუციონერობისკენ იხრებოდა. რევოლუციონერობა და ექსტრემიზმი პოლიტიკური სინონიმებია. ყოველი სახელმწიფო მოვალეა იბრძოლოს რევოლუციისა და ყალბად გაგებული რადიკალიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ამიტომაც დისიდენტური მოძრაობა კარგა ხნის განმავლობაში განწირული იყო მარცხისათვის. სამოცდაათიანი წლები განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ჯერ კიდევ ვერ გამოდგებოდა. საამისო პირობები მხოლოდ ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან შეიქმნა, როდესაც საკავშირო ასპარეზზე საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი საბჭოეთის ახალმა ხელმძღვანელობამ.

დისიდენტობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად პროვოცირებული იყო სპეცსამსახურების მიერ, დროისათვის შეუფერებელი ლოზუნგებით გამოდიოდა. დემოკრატიული სტრატეგიის თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ტაქტიკა და განსაკუთრებით — პრაქტიკა სრულიად მიუღებელი გახლდათ. ამ შეუსაბამობას, ცხადია, დისიდენტებიც გრძნობდნენ. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებაზე მაინცდამაინც არავინ ფიქრობდა. „კგბ“, ერთი მხრივ, ყველაფერს აკეთებდა დისიდენტთა რიგებში პროვოკატორთა დანერგვისათვის, ხოლო მეორე მხრივ — პროვოცირებულ მოძრაობას წარმატებით იყენებდა ახალი თაობის პოლიტიკოსთა მეტისმეტად აქტიურ წარმომადგენლებზე ზეგავლენის მოსახდენად.

ედუარდ შევარდნაძე ამ თაობის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლიდერი იყო. იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებას. იმავდროულად ედუარდ შევარდნაძეს არ შეეძლო წინ აღდგომოდა ქართველ დისიდენტთა დაპატიმრების ფაქტებს. ის გარემოება, რომ ყველა მათგანი ერთნაირად მკაცრად არ ისჯებოდა, მის დამსახურებად ვერ ჩაითვლება.

ედუარდ შევარდნაძისათვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ვითარების მართვა თბილისიდან შეუძლებელი იყო. ცამეტი წლის დაძაბული შრომის შემდეგ იგი პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს. დაიწყო ე. წ. გარდაქმნის ეპოქა, რომლის მთავარი იდეოლოგი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. მეოცე საუკუნის განმავლობაში ქართველი კაცი მეორედ მოექცა მსოფლიოს უდიდესი იმპერიის სათავეში. გარდაქმნა სახელმწიფოს დემოკრატიზაციას ნიშნავდა. დემოკრატიზაცია იმპერიის დაშლას მოასწავებდა. იმპერია უნდა დაშლილიყო. მისი ნგრევა საბედისწერო შედეგებს გამოიწვევდა. ამ ისტორიული მნიშვნელობის საქმეში ედუარდ შევარდნაძემ დასავლელი პარტნიორების ჩაბმა განიზრახა.

ედუარდ შევარდნაძის მოსკოვში გადასვლის შემდეგ საქართველოში ფარული შინაომი გაჩაღდა პარტნომენკლატურის სხვადასხვა ფრთებს შორის. იმარჯვა შედარებით ახალგაზრდა თაობამ. შინაომს ამძაფრებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დღითიდღე იკრებდა ძალას, მაშინ როცა, უმაღლესი ბიუროკრატიის შესაძლებლობები სულ უფრო კნინდებოდა პარტნომენკლატურაში არსებული განხეთქილების გამო. ამ ვითარებაში მოქნილობის გამოჩენა, რაც აუცილებელი იყო ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, შეუძლებელი ხდებოდა. ნომენკლატურის ურთიერთდაუნდობლობის ფონზე ანტიკომუნისტებისადმი ლმობიერება, მეტი რომ არ ვთქვათ, საეჭვო იქნებოდა. მაშინდელი ცკ-ის პირველ მდივანს, როგორც ჩანს, მოსვენებას არ აძლევდა ედუარდ შევარდნაძის აჩრდილი. იგი იქნებ შურისგებასაც ელოდა სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრების გამო, რომელიც ედუარდ შევარდნაძის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა.

მსოფლიო დიპლომატიის ბატალიებში ჩაბმულ შევარდნაძეს საქართველოს შინაარეულობაზე ხელი არ მიუწვდებოდა. არადა, ეს ქაოსი საგანგებოდ იმართებოდა იმავე ძალთაგან, რომლებიც ადრევე ცდილობდნენ ედუარდ შევარდნაძის დამარცხებას საქართველოს უარყოფითი იმიჯის შექმნის მეოხებით. თუ შევარდნაძის საქართველოში ეს თითქმის შეუძლებელი იყო, ახლა საშუალო თაობის ქართველ კომუნისტთა ეგოიზმის წყალობით, ამ მიზნის მიღწევა მათ სავსებით რეალურად ეჩვენებოდათ.

ამ დესტრუქციის სათავეში იმხანად ჯ. პატიაშვილი იდგა. მისი ჯიქური დაპირისპირება, ერთი მხრივ, ედუარდ შევარდნაძის მიმდევრებთან, მეორე მხრივ — ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან სავსებით აშკარა, მაგრამ ასევე სრულიად მიუღებელი გახლდათ.

საქართველო ტრაგედიისაკენ მიექანებოდა. ედუარდ შევარდნაძეს საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები ხელიდან გამოაცალეს. ამის მიუხედავად, გორბაჩოვის შუამავლობით მან მაინც მოახერხა განემუხტა ფეთქებადსაშიში სიტუაცია 1988 წლის ნოემბერში.

9 აპრილის სისხლიანმა ალიონმა შეძრა ყოველი ჩვენგანი, სრულიად საქართველო. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ტრაგედია თავიდან ვერ აიცილა, დამსჯელი ექსპედიცია მოიწვია.

1990 წლის დეკემბერში ედუარდ შევარდნაძე მინისტრობიდან გადადგა. ამ სენსაციური ნაბიჯის ჭეშმარიტი მოტივების შესახებ მათი ავტორი ალბათ ოდესმე იტყვის თავის სათქმელს. ზოგიერთი მოსაზრებით, ედუარდ შევარდნაძე თითქოს სწორედ დეკემბერში უნდა დაბრუნებულიყო თბილისს, რათა კვლავ სათავეში ჩასდგომოდა დამოუკიდებლობისაკენ ფეხადგმულ ქვეყანას. ეს ჩანაფიქრი, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. აქაც შეინიშნება ნაცნობი ხელწერა იმპერიისა, რომელსაც აქ მუდამ ჰქონდა დასაყრდენი ქართულენოვანი მეხუთე კოლონის სახით.

1990 წლის დამლევს ყველა პირობა არსებობდა შევარდნაძის სამშობლოში დასაბრუნებლად. უზენაესი საბჭოს არჩევნებში განმათავისუფლებელი მოძრაობის შთამბეჭდავი გამარჯვების საფუძველი იმდროინდელი ხელისუფლების ჩარევითაც მზადდებოდა. არჩევნების თვითმხილველი და მონაწილე ამას იოლად შენიშნავდა. შედეგიც კანონზომიერი უნდა ყოფილიყო. თორმეტი სუბიექტიდან არჩევნებში მხოლოდ ორმა გაიმარჯვა: „მრგვალმა მაგიდამ“ და კომუნისტურმა პარტიამ. ეროვნული მოძრაობის ენერგიისა და დიდი პოლიტიკური გამოცდილების სინთეზი სასიკეთოდ უნდა წარსდგომოდა ქვეყანას.

ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება მთელი წლით გადაიდო. საქართველო ჩათრეულ იქნა ცხინვალის ავანტიურაში, დაიკარგა ძვირფასი დრო. ქვეყანა ახალი პოლიტიკური კრიზისის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

1991 წლის მოელვარე შემოდგომის შემდგომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისათვის თითქოს უფრო გასაგები გახდა შექმნილი ვითარების მთელი სერიოზულობა. გაჩნდა შანსი პოლიტიკური პროცესის მშვიდობიანი მოწესრიგებისა. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა: 22 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლების დამხობითა და უამრავი მსხვერპლით დასრულდა; დასრულდა თბილისში, თუმცა საბედისწერო გავლენა იქონია შიდა ქართლისა და აფხაზეთის კონფლიქტებზე, სამოქალაქო ომის რეციდივებსა და საერთოდ, ქვეყნის სამომავლო ბედზე.

საქართველო უმეთაუროდ დარჩა. ამას ყველა გრძნობდა — მტერიცა და მოკეთეც. სამხედრო საბჭოს მოწვევითა და ცალკეულ პოლიტიკოსთა მეცადინეობით ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა.

ეს, რა თქმა უნდა, არ შედიოდა მეხუთე კოლონის ინტერესებში. შევარდნაძეს რომ არ ეჩქარა და ვთქვათ, 1992 წლის დამლევს ჩამოსულიყო თბილისში და არა წლის დასაწყისში, მისი იმიჯისათვის იქნებ ჯობდა კიდეც. ამ ხნის განმავლობაში უსათუოდ გაჩაღდებოდა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი, რომლის გარკვეულ ეტაპზეც ედუარდ შევარდნაძე ხალხს მხსნელის როლში მოევლინებოდა. განზე დგომას მან ისევ სამშობლოში ყოფნა არჩია.

მას თავის მართლება მაინცდამაინც არ ემარჯვება: ედუარდ შევარდნაძემ, მაგალითად, მოინანია, რომ თავის დროზე „არ ესმოდა კერძო საკუთრების მნიშვნელობა“ და ებრძოდა კიდეგაც კერძო ინიციატივას. არადა, სამოცდაათიან წლებში კერძო საკუთრების წახალისება სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი და რაც მთავარია, სრულიად უპერსპექტივო საქმე იქნებოდა.

განვლილი სამი წელიწადი თავისი მნიშვნელობით ათწლეულებს უტოლდება. რომ არა სუბიექტური ხასიათის ხელისშემშლელი ფაქტორები, მათ შორის, ზოგიერთი ხელმოცარული პოლიტიკოსის ეგოისტური ქმედებანი, ქვეყანა უფრო სწრაფად წაიწევდა წინ. ამის სანაცვლოდ ისინი კვლავ ცდილობდნენ ვითარების დაძაბვას, რის ფორმალურ საბაბადაც დღეს უკვე განვლილი წინასაარჩევნო კამპანია გამოიყენეს.

მეხუთე კოლონა, რომელიც საქართველოში რამდენიმე თვალსაჩინო ძალით არის წარმოდგენილი — ბოლშევიკებით, ფაშისტური დაჯგუფებებით, კრიმინალური ელემენტებით, სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანებით, აგრეთვე — უბრალო, გაუთვითცნობიერებელი ადამიანებით, — შეეცადა გადამწყვეტი შეტევა მიეტანა ედუარდ შევარდნაძეზე, რათა სათუო გაეხადა მისი გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მოწინააღმდეგეები, ედუარდ შევარდნაძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა.

საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ის ძალა, რომელიც განაგრძობს და განავითარებს იმ ტრადიციებს, რომელთა პოლიტიკური სიმბოლოც ედუარდ შევარდნაძეა. ნებისმიერი სხვა გზა უპერსპექტივოა. მაგრამ მანამ, სანამ მას შესწევს ძალა წარუძღვეს ქვეყანას, საშუალო და შედარებით ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ეს დრო უნდა გამოიყენონ დილეტანტობის მარწუხებიდან თავის დასაღწევად, რასაც ესოდენ გაუდგამს ფესვი ჩვენს ცნობიერებაში.

ჩვენი დრო დადგა, ბატონებო! მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ არ არის მოწაფე მოძღვარზე უპირატესი.

საქართველოში ხავერდოვანი შემოდგომაა.

დედაქალაქში პატრიარქის შემოდგომა დგას.

მსოფლიო პოლიტიკის გამარჯვებული პატრიარქი თბილისში იმყოფება.

კეისარს — კეისრისა!

გიორგი სიხარულიძე.

გვეხმარებიან

მსოფლიო სავალუტო ფონდი — საქართველოს

ქართული ეროვნული ვალუტის ლარისა და თეთრის შემოღებისათვის მზადების პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რესპუბლიკას გაუწია როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური დახმარება. საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მსოფლიო სავალუტო ფონდის ექსპერტები მუშაობდნენ ფულის რეფორმის კონცეფციაზე, განსაზღვრეს კუპონის, რუსული რუბლისა და ამერიკული დოლარის ლარზე გაცვლის წესი და დაადგინეს მიმოქცევაში ახალი ვალუტის თავდაპირველი მასის ოდენობა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში ქვეყანამ მიიღო პირველი ტრანში 40 მილიონი დოლარის ოდენობით, ჰიპერინფლაციის საბოლოო დაძლევის, აგრეთვე, კუპონის გაცვლითი კურსის სტაბილიზაციისათვის. ლარის ამოქმედებამდე სამი თვით ადრე მსოფლიო სავალუტო ფონდმა საქართველოს მისცა მეორე ტრანში 44 მილიონი დოლარის ოდენობით და სტენდ-ბაის სარეზერვო კრედიტი 113 მილიონი დოლარის მოცულობით. ყოველივე ამან რესპუბლიკას შესაძლებლობა მისცა განემტკიცებინა ეროვნული ბანკის რეზერვები და დადებითი გავლენა მოეხდინა ეროვნული ვალუტის სტაბილურობის პროცესზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

9 ნოემბერს, 13 საათზე გაიმართება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიის ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ ნიკოლოზის ძე ეგაძე

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა დამკრძალავი კომისია.

ოთარ ეგაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მსახიობების ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მსახიობები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

ზულნარა სიხარულიძე — მსახიობი;
თენგიზ სუხიშვილი — დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი;
ომარ ხურციძე — მსახიობი.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 1 ნოემბერი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისას პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები:

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

ალეკო ნოზაძე — კაპიტანი, საინჟინრო ჯარების სამმართველოს უფროსი ოფიცერი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

მამუკა ნოზაძე — სერჟანტი, საინჟინრო მესანგრეთა ცალკეული სასწავლო ბატალიონის ათეულის მეთაური;
ზენონ ჩიდუნელი — ლეიტენანტი, საინჟინრო მესანგრეთა ცალკეული სასწავლო ბატალიონის ოცეულის მეთაური.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 4 ნოემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
გ. ჩინჩილაკაშვილის ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის კრიმინალური განყოფილების ოპერრწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი **გიორგი ჩინჩილაკაშვილი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 4 ნოემბერი.

ქართველები უკიდურესი მაქსიმალისტები ვართ. ჯერ იყო და სამსახურში მისალოც განცხადებებსაც კი ქართულის ნაცვლად ჩიქორთულად, მაგრამ მაინც რუსულ ენაზე ვწერდით. ახლა ინგლისური „დავაგურმანეთ". „მოპებით", „პოლიცეთი", „ენდ კომპანებით", მოდურად გავაფორმეთ ფირნიშები, მანქანები და ინტერიერები. ხენდ... დენდ... კენდ... პალას... სუპერმარკეტებით ავაპრელეთ ქვეყანა.

ძარღვიანი ქართული ელიტარული ბიზნესმენებისა თუ კიკლუცა ტელერადიო წამყვანებისთვის, ხშირად ზმნას სახელს რომ ვერ უთანხმებენ ხოლმე რიცხვსა თუ ბრუნვაში, როგორც ჩანს, უბრალო მოკვდავთა, მდაბიოთა ენად იქცა, ამიტომაც მოგვიმრავლდა ასე... „ენდ ლენდები" თუ ათასი ჯურის ენისგასატეხი.

ეს ისე, სხვათაშორისოდ... თუმცა, სწორედ რომ ღირს დასაფიქრებლად!

ახლა სერიოზულად ძალზე სერიოზულ თემაზე.

„ჯორ
გლა

ანუ ქართუ

და მინერ

წყლების ი

რესპუბლიკაში ასე ნანატრი და საჭირო უცხოური ინვესტიციების გამოჩენა რომ დიდ ინტერესს იწვევს, ამას წინათ ხაშურში სააქციო საზოგადოება „მინის ტარაში" მიმდინარე გარდაქმნები ადასტურებს.

ზოგიერთმა შეიძლება გაიკვირვოს, ბოლოს და ბოლოს რა ხდება ისეთი სახმაურო, ბოთლებს, შუშის ტარას ამზადებენ, კოსმოსური ხომალდების გამოშვება ხომ არ დაგვიწყიათ.

მართალია, ჯერ კოსმოსური ხომალდების დონემდე არ ავსულვართ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა, მინერალური წყლის მნიშვნელოვანი საბადოები, ნატურალური წვენებისა და ღვინის წარმოების მძლავრი პოტენციალი აქვს, მაშინ ნათელი გახდება, რა მნიშვნელობაც ენიჭება შუშის ტარის წარმოებას. უამისოდ, ჩვენში საჩამომსხმელო ინდუსტრიის განვითარება შეუძლებელია.

ხაშურის მინის ტარის ქარხნის ამოქმედებით, ბორჯომის მინერალური წყლების ორი და კახეთში რამდენიმე ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა ამუშავდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჰოლანდიელმა ბიზნესმენებმა ქართველ პარტნიორებთან ერთად თბილისში ერთობლივი სუპერმარკეტი „ბაბილონი" გახსნეს, ხოლო შემდეგ ბორჯომის მინერალური წყლითაც დაინტერესდნენ და...

ბორჯომი რომ უბრალო წყალი არ არის და მას მსოფლიო ბაზარზე შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ანალოგიურ წყლებს, მის ჩამოსასხმელად უცხოელების მიერ დაბანდებული სერიოზული თანხებიც მოწმობს.

„ბორჯომის" პროექტის განსახორციელებლად პირველი პრობლემა ჭურჭელი იყო. ამიტომაც გამახვილდა ყურადღება ხაშურის მინის ტარის ქარხანაზე. იგი ბორჯომთანაც ახლოს არის და ბაზაც საკმაოდ კარგი აქვს, თუმცა ტერიტორია და შენობები იმდენად მოუწყობელია, რომ კაცს ძნელად თუ გაუწევს იქითკენ გული. და მაინც, ამ ქარხნის ბედი უკვე გადაწყვეტილია. იგი სულ მალე ევროპის სტანდარტების დონის საწარმო იქნება... დღეს ქარხნის აქციათა 82 პროცენტი უცხოელებს, კერძოდ ჰოლანდიელ ბიზნესმენ ბობ მაიერს ეკუთვნის, დანარჩენი — კოლექტივსა და სახელმწიფოს.

ქარხანაში, ჯერჯერობით, ერთი ღუმელი მუშაობს და ყოველდღიურად 220 ათას ბოთლს უშვებს, დასაქმებულია 1200 კაცი. საშუალო ხელფასი 60 ლარამდეა, ასე რომ, დასაწყისი ცუდი არ არის. მალე მწყობრში ჩადგება მეორე ღუმელიც, კიდევ 400 კაცი მიიღებს სამუშაოს: ეს — პირველ ეტაპზე. ისე კი საწარმოს პატრონს დიდი გეგმები აქვს. ეს გეგმები ძირითადად საქართველოში საჩამომსხმელო ინდუსტრიის განვითარებას ეფუძნება.

ჩვენში „ჯორჯიენ გლას ენდ მინერალ კომპანიც", ვისი რეკლამაც ხშირად გადაიცემა ტელევიზიით, სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი. მისი პრეზიდენტი ფრედ ზიმერი ამავე დროს უკვე 25 წელიწადია ევროპაში წყლის ინდუსტრიის ფლაგმანის, „პერიე ჯგუფის" პრეზიდენტიცაა.

ჯერჯერობით ევროპის ბაზარზე „ბორჯომი" დიდი მოთხოვნილებით არ სარგებლობს. მაღალი მინერალიზაციის (იგი 5,5-7,5) პროცენტამდე მერყეობს, ევროპის ცნობილი „ვიშის" წყლის მინერალიზაცია 3,5 პროცენტს არ აღემატება) და კიდევ ათასი [illegible]ვა აქვს. უცხოურ ბანკებთან უკვე მიღწეულია თანხმობა ამ საქმის განვითარებისთვის 20 მილიონი დოლარის ინვესტირების თაობაზე. ბორჯომში მალე აშენდება პოლიეთილენის ბოთლების დასამზადებელი საწარმო, რაშიც უბრალო წყაროს წყალი ჩამოისხმება.

წყლის ბიზნესი ძალიან რთული, ფაქიზი საქმეა, მას ძლიერი ინფრასტრუქტურის განვითარება და ბაზრის ზედმიწევნით შესწავლა სჭირდება. ჩვენთან ეს საქმე „ბორჯომით" იწყება, მისი განვითარება სამომავლოდ სწორედ „ბორჯომზე" იქნება დამოკიდებული.

მანამდე კი თბილისის ბიზნეს

ქისტებს ქართველებთან უძველესი დროიდან აკავშირებდათ ...თესაობა, ძმობა და მეგობრობა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩეჩნეთის მთიანეთიდან თუშ და ჩოლოყაშვილთა მეურნეობით მოსახლებულ ქისტებს, მოგვიანებით, 1854-55 წლებში, გადმოსახლებულებიც მიემატნენ და თავი მოიყარეს პანკისის ხეობაში. ჯოყოლოში ახლაც არის ქრისტიანული ტაძარი, რომელიც ქისტებს ქართველებთან აუშენეს. მრავალი ქისტი უმ... ზიარებულად შეესისხლხორცა ...ბილობრივ ქართულ ყოფას, ...მენა-წარმოდგენებს, რაც ქისტებისათვის წარსულშიც არ ყოფილა უცხო. ქართველ მთიელებს შორის დასახლებულმა ...ბებმა მართალია, ნაწილობრივ ასიმილაცია განიცადა, მაგრამ მათი წარმომავლობის შესახებ შემოგვრჩა მამა-პაპათა ...მოცემები, რასაც ისინი დღემდე სიამაყით ინახავენ.

პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში მცხოვრები ქისტები ახმეტის რაიონის მოსახლეობასთან ერთად საქართველოს უკეთესი მერმისისათვის ღვაწობენ. ქართველებისა და ქისტების ისტორიული მეგობრობა საქართველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთათვის მაგალითია.

სოფელ დუისში, 1894 წლის ... მაისს ადო მარგოშვილის ოჯახში დაიბადა მეხუთე ვაჟი

ნე. უსუფ მარგოშვილი, შუტების რჩეული, ჭირსა შიგან გამაგრებული თავკაცი, ღრმად განსწავლული პიროვნება იყო. რაც ამ ხეობის გადასაწყვეტი საქმე იყო, მას ეკითხებოდნენ. მისი მითითებით ხდებოდა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა, რომ გაიგებდნენ, უსუფი ჩამოვიდა ჩეჩნეთიდანო, მასთან მისვლას ერთმანეთს ეცილებოდნენ. იგი იყო ერთგვარი ხიდი ვაინახ ხალხსა და ქართველებს შორის და პირველი სკოლის დამაარსებელი ხეობაში. უსუფ მარგოშვილი ბუნებით პედაგოგად იყო დაბადებული და პენსიაზე გასვლამდე სიყვარულით ემსახურა ბავშვთა აღზრდისა და სახალხო განათლების საქმეს. იგი ხშირად ჩადიოდა ჩეჩნეთში და ამ ორი კუთხის ხალხს შორის მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდა, ვაინახებს საქართველო წმინდა და ამაღლებულ ადგილად მიაჩნდათ. ისინი უსუფს ღმერთების ქვეყნიდან ჩამოსულს უწოდებდნენ. ძალიან თბილი, მაღალი ზნეობისა და მაღალი კულტურის მქონე ადამიანი იყო. ფლობდა რამოდენიმე უცხო ენას. იმდენად კარგად იცოდა არაბული, რომ აკადემიკოს გიორგი წერეთელს უნივერსიტეტში პედაგოგადაც კი მოუწვევია. მან უარი მხოლოდ იმიტომ განაცხადა, რომ თავისი მშობლიური კუთხე არ მიატოვა, რადგან გრძნობდა, პანკისელებს მისი მზრუნველობის გარეშე ცხოვრება ძალზე გაუჭირდებოდათ.

ჩნეთისა და ინგუშეთის კულტურულ-ეკონომიკური და მეცნიერულ-პედაგოგიური საზოგადოების, ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებისა და პანკისის ხეობის მოსახლეობის ინიციატივით, გაიმართა ერთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის დიდი მეხოტბის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, სოფელ დუისის სკოლის დამაარსებლის, ეთნოგრაფის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის უსუფ მარგოშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სახალხო ზეიმი. იმ დღეს დუისის ქართულ საშუალო სკოლას ამ სახელოვანი პედაგოგის სახელი ეწოდა.

ზეიმი გახსნა ახმეტის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის

რუსეთის [illegible]

პოლიტიკურმა დუელებმა სასამართლოებში გადაინაცვლა

რუსეთის კომუნისტები: „მიბაძეთ ძერჟინსკის!"

შეიფარებს როშის ქვეშ ტებს?!



აზეთი ამა თუ იმ ასპექტით თველოს პრეზიდენტისა და პარ„როგორც მოსალოდნელი იყო", ორმაციის საშუალებათა განხო პრავდის" „სოვეტსკაია რო" სამწუხაროდ, არ მომხდარა. ბუობით სდუმან. საჭიროა დრო, უახლოეს მიმოხილვაში შევეც რჩეულებსა და მათ ელექტო

იში მიმდინარე პოლიტიკურ დე

აბრძოლა ამჯერად მოსკოვის ს საჯარო რაუნდი, — როგორც ლ 2 მილიონ მანეთად იქნა შეტილებით იმ სხდომაზე გამოუანილი სარჩელის მიხედვით არელისა და ღირსების დაცვის ის, რომ ვიცე-პრემიერმა მოსდ დასდო პირშეკვრა მონოპოლ სურსათით ამარაგებენ. შეიძუ არა, ხელისუფლების წრეებში დებულების გარკვევის ცივილიამართლო ორგანოები მოქმედე

ოები იუწყებიან, რომ სახელმვის „კანონი", რომლის თანახმად ველგვარი პოლიტიკური საქმიააგიტაცია, და ჯარებში ისეთი პოლიტიკურ მიზნებს ისახავრაჩოეისადმი, რომელიც მოწაწარმომადგენლობით ილეობისათვის.

ური პარტიის გაზეთი „პრავდარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას... ცსამსახურებისა და სასაზღვრო ჯარების თანამშრომლებისადმი. პატრიოტიზმისა და ეროვნული ინტერესების დაცვის პათეტიკური მოწოდებების მიღმა ბოლშევიკურ ექსტრემიზმს დაუცქვეტია ყურები. კომპარტია პირდაპირ მოუწოდებს ჩეკისტებს მიბაძონ ძერჟინსკის ან, უარეს შემთხვევაში, —ანდროპოვს.

„ნეზავისიმაია გაზეტა" ყურადღებას ამახვილებს რუსეთისათვის დამახასიათებელ პრობლემაზე — შიდა საზღვრების გადაკეთებაზე. კერძოდ, საქმე ეხება ჩრდილოეთ კავკასიის ორ აქტთან დაკავშირებით. — „რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის შესახებ" და „ტერიტორიული რეაბილიტაციის შესახებ". ამ თემას არა აქვს უშუალო დამოკიდებულება ჩვენდამი, მაგრამ მთელი რიგი საკითხები არაპირდაპირ შეიძლება საქართველოში არსებულ მდგომარეობასაც ეხებოდეს.

გაზეთი იხსენებს, რომ სერგეი კოვალიოვმა „რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის" კანონის მიღების წინ რუსლან ხასბულატოვი გააფრთხილა, **რომ უაღრესად საშიშია ტერიტორიულ ურთიერთობათა გარკვევა, ვინაიდან ეს არსებითად ომის საკითხი არისო.** მაგრამ პასუხად მიიღო კონტრარგუმენტი, რომ ასეთი პოზიცია ლახავს სხვა ეროვნებათა უფლებებს".

„ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტის მსოფლიო პრაქტიკაში არის ასეთი ცნება — ოპტიმალური თანაფარდობა წარსულსა და მომავალს შორის. საეჭვოა, შესაძლებელი იყოს ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტისას, წარსულის მოშველიება იმ ანალოგიით, რომ „ასე იყო". ამასთან კონფლიქტოლოგიის თეორია გვასწავლის, რომ თაობას, რომლის დროსაც დაიწყო კონფლიქტი, არ შეუძლია მისი გადაწყვეტა".

ასეა თუ ისე, საზღვრების თემა ერთობ საშიშია იმ ადამიანთა ხელში, ვინც ხალხის პოლიტიკური მანიპულირების ნიადაგზე აღმოცენდა. **„პოლიტიკოსი, რომლის ამოცანაა თავისი ხალხის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, დღეს რუკასთან მაკრატლით ხელში არ უნდა იდგეს".**

გაზეთ **„სეგოდნიას"** მოჰყავს ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის ანდრია ნიკოლაევის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ **„სოხუმ-ტრაპიზონის" ხაზზე ხომალდები ინტერნაციონალურ წყლებში გადიან რუსეთის დროშით ისე, რომ ამასთან არ არიან შეტანილნი საერთაშორისო საზღვაოსნო რეგისტრში როგორც რუსეთის ხომალდები".** გენერალ-პოლკოვნიკმა აგრეთვე განმარტა, რომ თავისთავად დროშა არ ადასტურებს ნავსადგურიდან გემის გასვლის უფლებას, სანამ იგი არ მიიღებს საერთაშორისო წყლებში ნაოსნობის ნებადამრთველ დოკუმენტს. რუსეთის სასაზღვრო ჯარები სოხუმიდან არ გამოუშვებენ აფხაზეთის გემებს იქამდე, სანამ ისინი **„არ გატარდებიან რეგისტრაციაში მსოფლიოში თუნდაც ერთ აღიარებულ სახელმწიფოში"**, — დააზუსტა ნიკოლაევმა. ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ — რომელი სახელმწიფო მოისურვებს შეიფაროს თავისი დროშის ქვეშ სეპარატისტები, თუ მათ ამაზე უარი უთხრა რუსეთმა?

იტარ-ტასის სააგენტოს მოჰყავს ჟაკ შირაკის სიტყვები ბორის ელცინსა და საერთოდ, რუსეთზე: **„ნუ შევქმნით ისეთ შთაბეჭდილებას, რომ რუსეთს ვიღაც ემუქრება. რუსეთი დიადი ქვეყანაა და ელცინი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გამოიყვანოს რუსები ახლანდელი გაჭირვებიდან.** ეს საქებარო ტირადა წარმოითქვა ცოტა ხნის შემდეგ ორი პრეზიდენტის შეხვედრიდან, რომელზეც ელცინმა აგრძნობინა თანამოსაუბრეს, რომ „გაგებით ეკიდება" საფრანგეთის ბირთვულ გამოცდებს.

ამასობაში კი დიდ ბრიტანეთს, როგორც მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რიფკინდმა განაცხადა, განზრახული აქვს ევროპის გაერთიანებას მოსთხოვოს დააჩქაროს თანამეგობრობის ქვეყნების საქონლისათვის განკუთვნილი ბაზრის გაფართოების პროცესი. **„ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს უფრო მეტად სჭირდებათ ვაჭრობა, ვიდრე სესხის აღება".** ეს, მინისტრის აზრით, **„მნიშვნელოვნად შეამცირებს იმის საშიშროებას, რომ რუსეთის ტიპის ქვეყნები დაუბრუნდებიან „რაიმე ფორმის დახშულ ავტორიტარულ მმართველობას", — იუწყება „ფინანსოვიე იზვესტია".**

კავკასიელ ტერორისტთა გახმაურებულ საქმეებში ახალი აქცენტები შეიტანა **„ნეზავისიმაია გაზეტამ"**. მოსკოვი, გაზეთის აზრით, დათანხმდება გასცეს შეთქმულნი (იგორ გიორგაძე, აიაზ მუთალიბოვი, რაგიმ ყაზიევი, სურეთ გუსეინოვი), — საქართველოში სამხედრო ბაზების ხელშეკრულების რატიფიკაციისა და აზერბაიჯანში გაბალის რადიოსალოკაციო სადგურის შენარჩუნების გულისათვის. ამ შესაძლებლობას გაზეთის ენაზე „ვაჭრობა" ეწოდება. მაგრამ როგორც ცნობილია, ბაზების სანაცვლოდ ედუარდ შევარდნაძემ მოითხოვა უფრო დიდი საფასური —აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

თუ დავუჯერებთ ასტროლოგებს, რომლებსაც თავისი გვერდები დაუთმო **„მოსკოვსკაია პრავდამ"**, ნოემბრიდან ბევრს გაუძლიერდება წინასწარ განჭვრეტის უნარი. ფრიად შესაძლებელია, რომ ამ „ბევრთა" შორის პოლიტიკოსებიც აღმოჩნდნენ.

იური მოსეშვილი

1995 წლის 6 ნოემბერ
ბანკთაშორისი სავალუტ
მლის შედეგების მიხედვი
რის მიმართ უცხოური
კურსები:

ავსტრალიური დოლარი
ავსტრიული შილინგი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი
10 ბელგიური ფრანკი
გერმანული მარკა
ჰოლანდიური გულდენი
დანიური კრონა
1000 იტალიური ლირა
კანადური დოლარი
ნორვეგიული კრონა
აშშ დოლარი
ფინური მარკა
ფრანგული ფრანკი
შვედური კრონა

რთოვდება საქმიანი კონტაქტები ქართველოსა და აზერბაიჯანის ნაგან საქმეთა სამინისტროებს რის

8 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სტრი, გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია შეხვდა აზერბაიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციას, რომელიც ორი ა სამუშაო ვიზიტად იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

არეებმა განიხილეს დამნაშავეობასთან ბრძოლაში თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები, კმაყოფილება გავევს იმის გამო, რომ ამ ბოლო ხანს, ქართველი და აზერბაილი კოლეგების ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დაკაულია ათობით ძებნილი, ნარკოტიკების გამსაღებელი და სხვა ოტმოქმედი.

ერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ლებიც იმყოფებოდნენ ქვემო ქართლის რეგიონში, შეხვდნენ ახლეობას, კმაყოფილება გამოთქვეს აზერბაიჯანის საზღვრის-

---

სიტუაცია

ძაღლის თავი ნაპოვნია...

იმ დღისით, სიმართლე გითხრათ, სიღნაღში გამგზავრება სულაც არ მეპიტნავებოდა, მაგრამ რედაქციაში ანაგის ღვინის ქარხნიდან (სწორედ აქ „მოღვაწეობდა" ერთ დროს მთელ საქართველოში სახელგანთქმული „ნუღლა") ისეთი საგანგაშო წერილი შემოვიდა, რომ, რაღას ვიზამდი, სასწრაფოდ მივლინება ავიღე, ბუდა-ნაბადი ავიკარი და კახეთის გზას დავადექი.

მერე დრო რომ არ დავკარგოთ, იმ წერილის შინაარსს, რომლის ავტორებიც ანაგელი მეღვინეები ანზორ იაშვილი, ნინო ქუფარაშვილი და ნუგზარ ჩახნაშვილი არიან, ახლავე გაგაცნობთ.

— მას შემდეგ, რაც საქართველოში პრივატიზაცია დაიწყო — იწერებიან ისინი, — სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის აუცილებლობას ანაგის ღვინის ქარხანაც დაექვემდებარა. მაშინვე კრება მოვიწვიეთ, ქარხნის დირექტორთან (რამაზ ქართველიშვილი) ერთად სათანადო დოკუმენტებიც შევაგროვეთ და ქონების მართვის სამინისტროს წარვუდგინეთ. იმის მიუხედავად, რომ დოკუმენტაცია სრულყოფილი არ აღმოჩნდა, ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და 1994 წლის ბოლოს, სააქციო საზოგადოებად პირობითად დაგვაფუძნეს.

მერე ისე მოხდა, რომ დირექტორმა ქარხნის კონსერვაციასთან დაკავშირებით კოლექტივის ერთი ნაწილი მთელი 8 თვით უხელფასო შვებულებაში გაგვიშვა (?!) და საქმის მსვლელობისა ვერარაფერი გავიგეთ. აგვისტოში, როცა დავბრუნდით და ამბავი ვიკითხეთ, ბატონმა რამაზმა გვითხრა: საწარმო გააქციონერებას არ ექვემდებარება და სახელმწიფოს განკარგულებაში რჩებაო. თურმე გვატყუებდა, როგორც შემდეგ გავიგეთ, სახელმწიფო ქონების მართვის სიღნაღის რაიონულ განყოფილებაში ჯერ კიდევ 1995 წლის თებერვალში მოსულა მინისტრის ავთანდილ სილაგაძის წერილი (მასში აღნიშნულია, რომ თუ დროულად არ მოხდა დოკუმენტაციის სრულყოფა, სააქციო საზოგადოება დაფუძნებულად არ ჩაითვლება და კოლექტივი დაკარგავს სახელმწიფოს მეთაურის № 178 და № 241 ბრძანებულებებით მინიჭებული შეღავათების გამოყენების შესაძლებლობას), მაგრამ დირექტორს მის მიღებაზე უარი უთქვამს.

სამაგიეროდ, სექტემბერში მოიწვია საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კრება, სადაც განაცხადა: ქარხანა განიცდის მძიმე ფინანსურ სიძნელეებს, ამასთან, დაწყებულია რთველი. რადგან კოლექტივს აქციების შეძენის თავი არა აქვს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ღვინის ქარხნის პრივატიზება მოხდეს აუქციონის ან კონკურსის წესით, აბა, დირექტორს წინააღმდეგობას ვინ გაუწევდა, რაც თქვა, კრებამაც ის გადაწყვიტა.

ესეც არ იკმარა, მოიყვანა ინვესტორები და გუმანში აქვს ქარხანა მათ მიჰყიდოს. მათ მოსახლეობისაგან შეისყიდეს 800 მილიონამდე რუბლის ყურძენი და საწარმოში დაწურეს. როგორც ირკვევა, სავარაუდო მოგება 2 მილიარდ რუბლს მიაღწევს, ქარხანას კი კაპიკსაც არ უტოვებენ. თუ დირექტორი პირადად დაინტერესებული არ არის, გვითხარით, ასეთ ინვესტორებს რატომ მოიწვევდა?

ჩვენ ამის თაობაზე მივმართეთ რაიონის გამგეობას, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, პროკურატურას, სხვა ინსტანციებს, მაგრამ დღემდე პასუხი არავის გაუცია. თვით ქართველიშვილი კი გაიძახის: ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებულიც არის და გადაწყვეტილიცაო. გთხოვთ, გაარკვიოთ, რამდენად კანონიერია დირექტორის მოქმედება? ნუთუ სახელმწიფოს მიერ კოლექტივისთვის მინიჭებული უფლებები ერთი კაცის ინტერესებს უნდა შეეწიროს?

აი, ასეთი საჩივრით მივადექი სახელმწიფო ქონების მართვის სიღნაღის რაიონულ განყოფილებას.

— მაგათ თქვენზე ადრე ჩვენთან იჩივლესო, — მითხრა ამ განყოფილების უფროსმა იური ჯანიაშვილმა, — გამგეობის დავალებით კომისიაც კი შევქმენით, რომელმაც საქმის ვითარება შეისწავლა. მერე აქვე კოლექტივის კრებაც გავმართეთ.

— **კრების ოქმი გაქვთ?**

— არა.

— **რატომ?**

— გაფორმება ვერ მოვასწარით (?!).

— **კოლექტივი რა აზრისაა?**

— უმრავლესობა დირექტორის მხარეზეა. საწარმოს გაჭირვებას და სულ არარაობას, სჯობია ისევ ინვესტორი შემოვიდეს და ქარხანა აუქციონზე გაიყიდოს.

— **მერე თქვენ სწორად მიგაჩნიათ ასეთი გადაწყვეტილება?**

— არა. ქარხანა კანონით აქციონირებას ექვემდებარებოდა და უნდა გააქციონერებულიყო კიდეც. ეს უნდა მომხდარიყო და შემდეგ კოლექტივი თუ ვერ შეძლებდა აქციების პაკეტის ყიდვას, შეეძლო ამის უფლება სხვისთვის მიეცა. დასანანია, რომ ანაგელები მესაკუთრედ გახდომის შეღავათიან პირობებს კარგავენ.

— **ეტყობა, ამის თაობაზე კოლექტივი ინფორმირებული არ იყო.**

— ეს უკვე დირექტორის ბრალია. მე მას თავის დროზე გადავეცი ჩვენი მინისტრის წერილი, მაგრამ არ მიიღო. მას რომ ის კოლექტივისთვის გაეცნო, ალბათ, სწორი გზით წავიდოდა.

— **ახლა რას აკეთებთ?**

— ჩვენი გვერდის ავლით ზემდგომ ინსტანციებში დარბის, მეუბნება, იქიდან ისეთ დოკუმენტებს მოვიტან, ყველას გაგაჩუმებთო. დღესაც ველოდებით. თუ არ მოიტანა, მკაცრ ზომებს მივიღებთ.

მოკლე საუბარი მქონდა სიღნაღის გამგებელთან ვაჟა ცაბუტაშვილთან, მანაც იგივე გაიმეორა — ღვინის ქარხნის გააქციონერება ერთადერთ სწორ გზად მიგვაჩნია და ასეც უნდა მოხდესო. ამის თაობაზე დადგენილება ჩვენ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მივიღეთო.

ანაგის ღვინის ქარხანაშიც მივედი. დირექტორი ადგილზე არ აღმოჩნდა. მუშა-მოსამსახურეებიდან ბევრმა ჩემთან საუბარზე უარი განაცხადა: სათქმელი უამრავჯერ ვთქვით კრებებზე და მეტი აღარ შეგვიძლიაო. გულმოსული ჩანდა მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგი თამაზ მჭედლიშვილიც — თუ დირექტორი გვერდით არა მყავს, სიტყვის დამძრელი არა ვარო (!).

მხოლოდ დაცვის უფროსმა გივი მამაიშვილმა იკადრა დალაპარაკება: თავიდან არაფერი ვიცოდით რა ხდებოდა, მერე გვითხრეს, ფულიანი კაცი მოვიდა, ქარხანას იყიდის, თქვენც კარგად იქნებით და ისიცაო. ამიტომ გადავწყვიტეთ ასე, თორემ საქმის კურსში რომ ვყოფილიყავით, სხვა რამეს ვიღონებდითო.

მერე ლაბორატორიის გამგემ, ქალბატონმა ცარო ზურაშვილმა გაგვიზიარა თავისი აზრი: აქციონირება სჯობდა, მაგრამ თუ ზემოდან სხვა გადაწყვეტილებას მოგვიტანენ, რა ვქნათ? ისე, ინვესტორს ჩვენ იმიტომ დავთანხმდით, რომ გვეუბნებოდა — აქციების 49 პროცენტს მე ავიღებ და 51 პროცენტს თქვენ მოგცემთო. ახლა სხვანაირად ლაპარაკობს — ქარხანას აუქციონზე ვიყიდი და აქციების 30 პროცენტს უფასოდ გაჩუქებთო. ვერ გამიგია, ეს დალოცვილები ჩვენსას გვართმევენ და თავისას გვჩუქნიან?

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონ ველიშვილი რედაქციაში მოვიდა. დასთამაშებდა.

— **თქვენ კარგ გუნებაზე ჩანხართ**
— **თქვენი ქარხნის მეღვინეებმა ქვეყანა აარიალეს.**

— იარონ და იჩივლონ. თითო-ოროლა დღეს ყველასა ჰყავს.

აი, ნახეთ შრომითი კოლექტივის კრების (1995 წ. 5 ოქტომბერი) გადაწყვეტილება. მაგ სამი კაცის გარდა, ყველა ჩემს მხარეზეა.

— **რატომ არ გააცანით კოლექტივს თავის დროზე სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის წერილი?**

— ის წერილი ჩემთვის არავის მოუცია.

— **იური ჯანიაშვილი ხომ გაძლევდათ, რატომ არ გამოართვით?**

— ტყუილს ამბობს, მას ჩემთვის არავითარი წერილი არ უჩვენებია.

— **ვთქვათ, წერილი არ მოუციათ, თქვენ თვითონ რად არ დაინტერესდით საწარმოს ბედით და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში რატომ არ მიხვედით?**

— როგორ არ დავინტერესდი, ამიტომ მოვიწვიე კოლექტივის კრება (5 სექტემბერი, 1995 წ.) და მისი გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში წარვადგინე. სწორედ ამის საფუძველზე დაწერა სამინისტრომ მიმართვა მინისტრთა კაბინეტისადმი (18 სექტემბერი, 1995 წ. № 1-1/359) და მოითხოვა ჩვენი ქარხნის პრივატიზება მოხდეს კონკურსის ან აუქციონის წესით. მინისტრთა კაბინეტი დაეთანხმა ამას და გადაწყვეტილებაც მიიღო (1995 წლის 16 ოქტომბერი, დადგენილება № 647).

ინებეთ, აი ყველა ამ დოკუმენტის ასლები მოგართვით.

დოკუმენტები გამოვართვი და გულდასმით ჩავიკითხე. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიმართვაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ბოლო წინადადებამ „აღნიშნულზე (ესე იგი „ანაგის" კონკურსის ან აუქციონის წესით პრივატიზებაზე — ო. ხ.) თანახმაა ქარხნის შრომითი კოლექტივი და სიღნაღის რაიონის გამგეობაც".

გული მეტკინა, აკი ბატონმა ვაჟა ცაბუტაშვილმა ჩემთან საუბარში განაცხადა, „ანაგის" პრივატიზების სწორ გზად გააქციონერება მიმაჩნიაო? თუმცა მაშინვე ვიგრძენი განწყობილება — მასთანაც და იური ჯანიაშვილთანაც — ჩვენ კი ამ აზრისა ვართ, მაგრამ თუ ზემოთ სხვაგვარად გადაწყვეტენ, რა უფლება გვაქვს არ დავეთანხმოთო.

აქ მე რატომღაც „რაიკომობანას" პერიოდში კახეთის ერთ-ერთ რაიონში მომხდარი გახმაურებული ამბავი გამახსენდა. თურმე მეორე მდივანმა პირველის დაუკითხავად ვიღაც თანამდებობის პირი მოხსნა და სხვა დანიშნა (ფული აქედან კეთდებოდა). მაშინ პირველმა ქვეშევრდომს დაუძახა და

თონ რა ფუნქცია აკისრიათ? ყველა რომ თავის „ამპლუაში" იჯდეს, მაშინ „ანაგის" დირექტორი მათი გვერდის ავლით საკითხის გადასაწყვეტად ზევით-ქვევით ხომ ველარ ირბენდა?

ახლა ვნახოთ, რა აზრისაა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. მისი ხელმძღვანელი ბატონი ავთანდილ სილაგაძე, რომელსაც ამ საკითხის გამო, უკვე მეორედ ვხვდები. პირველი სტუმრობისას იგი ჩემთან ერთად ესაუბრა განმცხადებლებს, შეგვპირდა, რომ სიღნაღიდან სასწრაფოდ გამოითხოვდა ანაგის ღვინის ქარხნის პრივატიზაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ყველაფერს დაწვრილებით გაარკვევდა.

მინისტრმა ამჯერადაც გულისხმიერება გამოიჩინა, მაშინვე გამოუძახა აგროსამრეწველო განყოფილების გამგეს თენგიზ ჩხეიძეს და სთხოვა: აჩვენეთ კორესპონდენტს მთელი დოკუმენტაცია, რაც კი რამ გვაქვს. თუ საჭირო გახდა, წერილით მივმართოთ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, სხვა ინსტანციებს.

—აი ყველაფერი ის, რაც სიღნაღიდან მივიღეთ,— მეუბნება უკვე თავის კაბინეტში ბატონი თენგიზი და ქაღალდის ფურცელს მაწვდის:

„გაცნობებთ, რომ ანაგის ღვინის ქარხნის ძირითადი ფონდების ღირებულება 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის 582,56000 რუბლი. აღნიშნული საწარმოს სააქციო საზოგადოებად დასაფუძნებელი საბუთები და დოკუმენტაცია ჩვენთან არ არსებობს და არც არასოდეს ყოფილა. იგი აქვს ქარხნის დირექტორს, რომელიც გავაფრთხილე, რომ საბუთები სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მოეტანა". წერილს ხელს აწერს სახელმწიფო ქონების მართვის სიღნაღის რაიონული განყოფილების უფროსი ი. ჯანიაშვილი.

— **აი, ხედავთ, ვეუბნები, არც თქვენთან, არც სიღნაღში არავითარი დოკუმენტაცია არ არსებობს, რატომღაც ყველაფერი მოფარებულად კეთდება (ეტყობა ვიღაცის ჭუჭყიანი ხელი ტრიალებს). ამას თავი გავანებოთ, სიღნაღიდან გამოგზავნილ ცნობაში წერია, რომ „ანაგის" ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 58256000 რუბლს, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიმართვაში ეს ციფრი 1995 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემცირებულია 28171266000 კუპონამდე, რომელია ამათგან სწორი ციფრი?**

—დაშვებულია უზუსტობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ქარხნის სახელმწიფო ღირებულება 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უნდა ეანგარიშათ და მაშინ ყველაფერი გაირკვეოდა. იმ ციფრის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის დადგენილებით ანაგის ღვინის ქარხანა სავალდებულო აქციონირებას ექვემდებარება.

მაშინვე გამიჩნდა კითხვები:

ეს როგორ, მინისტრთა კაბინეტმა წლეულს 16 ოქტომბერს თავისი ადრინდელი დადგენილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო?

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში საიდან გაჩნდა ციფრი 28 171 266 000 (კუპონი)?

ვის ჰქონდა უფლება ანაგის ღვინის ქარხნის თავდაპირველი საბალანსო ღირებულება შეემცირებინა?

ეს კითხვები შემეძლო თვით სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროშიც დამესვა, მაგრამ „მცირე თავსატეხი" შემცირების ავტორებისთვისაც ხომ უნდა დამეტოვებინა?

რაც მთავარია, ძაღლის თავი ნაპოვნია!

ოთარ ხუციშვილი.

რედაქციისაგან: წერილში აღძრული საკითხები ფრიად შემაშფოთებელია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სიღნაღის რაიონული განყოფილება, სიღნაღის რაიონის გამგეობა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან კონტაქტში გაარკვევენ ჭეშმარიტებას და ანაგის ღვინის ქარხნის პრივატიზებაში, რომელიც სავალდებულო გააქციონერებას ექვემდებარება, საეჭვოსა და საეჭვმანოს აღარაფერს დატოვებენ. ვნახოთ, საჭიროების შემთხვევაში, გაზეთი ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდება.

ჩვენს თავსაც გამოვკვებავთ

[illegible]

და... სხვასაც დავეხმარებით

**...ძლებადია [illegible]
...ქვეყანა, სადაც სასოფლო-
...რნეო წარმოების აღორძი-
..., კვლავწარმოების ახალი
...სათვის კრედიტის გამოყოფა
...ხელმიუწვდომელი იყო,
...რც საქართველოში. ლიბე-
...რალური აგრარული სექტორის
...ო რაიმე განსაკუთრებული,
...ექციონისტული პოლიტიკის
...რებაზე (რომელიც ისევე
...ლებელია დარგის ფეხზე
...ნებისათვის, როგორც სუბ-
... პირობები სასოფლო-სამე-
...ო წარმოებისათვის), არამედ
...იტზე, როგორც კვლავწარმო-
...თვის აუცილებელ ფინანსურ
...ალებზე.**

მდგომარეობაა ამ მხრივ
...რულ სექტორში? დაბეჯითე-
...შეიძლება ითქვას, რომ რე-
...ლიკაში ფინანსური სტაბილი-
...ის ინტერესებს ეწირება სა-
...ლო-სამეურნეო წარმოების
...რესები. თუ რომელს ეკუ-
...ს პრიორიტეტი დროში
...ანსურ თუ წარმოების სტა-
...იზაციას) ეს ფრიად საკამა-
...საკითხია და მის ჭეშმარიტე-
...ახლო მომავალი გვიჩვენებს.
...ს კი ფაქტია, რომ ეარს ვე-
...ბით სოფლად მწარმოებელს
...ზაფხულო სამუშაოების ჩა-
...ების და მოსავლის აღების
...მოების დაკრედიტებაზე,
...ტყვის შექმნისა და საერთო
...მოების გაფართოებისათვის
...ვადიან სესხებზე (და არა
...ო შეღავათიან სესხებზე)
...როდ იმ მოტივით, რომ არ
...ბობს კრედიტის წყარო, კრე-
...ის გაცემის და დაფარვის სა-
...ნტიო სისტემა. ამასთან ცნო-
...ია, რომ ქვეყნების უმრავლე-
...ში დანერგილია სოფლად
...ზაფხულო სამუშაოების ჩა-
...ების და მოსავლის აღების
...იოდში ფერმერთა ხარჯების
...ავთიანი დაკრედიტების პრაქ-
...ა, უფრო მეტიც, საკრედიტო
საგადასახადო შეღავათები
...ელდება იმ ფიზიკურ და იუ-
...იულ პირებზე, რომლებიც
...იათ სახსრებს აბანდებენ
...ოფლო-სამეურნეო წარმოება-
გავიხსენოთ თუნდაც ამერი-
შეერთებული შტატების პრა-
...კა, სადაც პირდაპირი სახელ-
...იფო მხარდაჭერით მოქმედებს
...ზე მეტი ძირითადი სასოფლო-
...ეურნეო პროდუქციის წარმო-
. ამასთან ეს მხარდაჭერა ძი-
...თადად სასოფლო-სამეურნეო
...ოდუქციაზე წინასწარი გარან-
...რებული ფასების დაწესებით
...იხატება, რაც საქონელმწარ-
...ბელს საშუალებას აძლევს მი-
...ს გარანტირებული მოგება
...ზარზე ფასების ნებისმიერი
...იუნქტურის დროს. აქ სოფ-
...დ საქონელმწარმოებელს 20
...ოცენტის ფასდაკლებით ეძლე-
...საწვავი. ასეთი პრაქტიკა არა
...რტო სოფლად საქონელმწარ-
...ებლის მიმართ ზრუნვის გამო-
...ვას, არამედ ქვეყანაში დოვ-
...თის გადიდების და საზოგადო-
...ს ყველა სოციალური ფენის
...ინტერესების დაცვაა საბოლოო
...არიშით.

...ამდენად, თუ საქართველოს
...ნსტიტუცია ამერიკული მოდე-
...ისაა, მიგვაჩნია: ის კანონები
კანონქვემდებარე აქტები,
...ომლებიც ქვეყანაში სამეურ-
...ო-სამეწარმეო საქმიანობის სა-
...მართლებრივ-ეკონომიკურ მხარეს
...ეგულირებენ, ნაწილობრივ მა-
...ც ამერიკული მოდელისა უნდა
...ოს. აგრარული სექტორი ამჟა-
...დ იმდენად უძლურია ეკონო-
...კურად, რომ თვითდაფინანსე-
...ს პირობებში დიდხანს ვერ
...ძლებს ფეხზე დადგომას, საჭი-
...ა მნიშვნელოვანი ინექციები
...რედან ძირითადი ფონდების
...დგენისა და გაფართოებული
...ლავწარმოების მისაღწევად. ამ
...მართულებით მნიშვნელოვნად
...ესახება კრედიტის, — როგორც
...რთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
...ინანსური ბერკეტის გამოყენება.

...აქვე ობიექტურად დაისმის არ-
...უ უსაფუძვლო კითხვა: —
...იდან მოვიზიდოთ შესაბამისი
...ინანსური საშუალებები?

...ჩვენი აზრით, აგრარული სექტო-
...ს ეკონომიკური უძლურება სა-
...ბოლოო ანგარიშით მიწის რეფო-
...მის გაჭიანურებას და მიწაზე
...საკუთრების საკითხის გაურკვევ-
...ლობას უკავშირდებოდა.

მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის
...რლამენტს დროულად რომ მიეღო კანონი სააღგილმამულო ურთიერთობათა შესახებ და გადაეწყვიტა საკითხი მიწის საკუთრების შესახებ (მით უმეტეს, რომ ამ კანონის პროექტი 1993 წელს მომზადებული იყო), აგრარული სექტორის დღევანდელი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები ბევრად უკეთესი და იმედისმომცემი იქნებოდა.

ეს საკითხები ჯაჭვური რეაქციის პრინციპით მრავალი პრობლემის დარეგულირებას უკავშირდება, მათ შორის სოფლის მეურნეობის საკრედიტო სისტემის შექმნასაც.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით აღებული კრედიტისათვის ცივილიზებულ მსოფლიოში მიწის გირაო ანუ ჰიპოთეკა გამოიყენება. გარდა იმისა, რომ იგი იძლევა სესხის აღებისა და დაფარვის მკაცრ საგარანტიო სისტემას, ქმნის აგრეთვე შესაბამის პირობებს მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბებისათვის, დანაწევრებული და წვრილკონტურიანი ნაკვეთების 10-20-50-100 და მეტ ჰექტრიან ფართობებად გამსხვილებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მომსახურების, პროდუქციის რეალიზაციისა და სხვა მრავალი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის.

აგრარული ფონდის (სალარო) ორგანიზებისა და ფუნქციონირებისათვის, მისი საწყისი კაპიტალის ფორმირებისათვის შესაძლებელია ფინანსური წყაროების გამონახვა, როგორიცაა მიწის გადასახადიდან შემოსული (რომლის პროექტიც 1992 წელს იყო მომზადებული) და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული მიწების სანაცვლოდ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩარიცხული თანხები (რაც პრაქტიკულად დღემდე გამოუყენებელია), სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული სხვადასხვა პროდუქტების რეალიზაციიდან ამონაგები სახსრები და სხვა.

ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული სასურსათო პროდუქცია ბოლო პერიოდამდე პრაქტიკულად უფასოდ ეძლეოდათ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლებს, იმათაც კი, რომლებსაც ასეთი დახმარება ეკონომიკურად არ სჭირდებოდათ. ამით ხელიდან გავუშვით რეალური შანსი, ჰუმანიტარული დახმარების გზით შემოსული პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხების სპეცანგარიშზე აკუმულირებისა და წარმოების აღორძინებაზე მიმართვისათვის. (საპარტნიორო ფონდი). ამ წყაროს გამოყენება განსაკუთრებით უპრიანია აგრარული ფონდის შესაქმნელად დღეს, როცა ჰუმანიტარული პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია, ისიც, რომ ასეთი აგრარული სალაროს რაიონული და სასოფლო რგოლების საპაიო საწყისებზე დაფუძნებაში მონაწილეობის შესაძლებლობა და სურვილი აქვთ სოფლად შექმნილ აგროფირმებს, კოოპერატივებს, კერძო საქონელმწარმოებლებს და ამ საქმით დაინტერესებულ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს. კრედიტის გაცემა ფერმერებზე და მეწარმეებზე განხორციელდება დისტრიბუტორთა საშუალებით.

ამასვე უკავშირდება კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა პრივატიზება და აქციონირება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა სრული უგულებელყოფით მიმდინარეობს. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა განსახელმწიფოებრიობაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ნედლეულის მწარმოებლებიც. ეს არა მარტო აღადგენს სოციალურ სამართლიანობას (გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების დიდი ნაწილი ძირითადად შექმნილია ნედლეულის მწარმოებელთა ხარჯზე, რამდენადაც მათ პროდუქციას წლების განმავლობაში მინიმალურ სახელმწიფო ფასებში, ხშირად იძულებით აბარებინებდნენ), არამედ შექმნის გარკვეულ საფუძველსაც სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საერთო ინტერესებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების საწარმოთა სპეციფიკურობის გამო (სეზონურობა მუშაობაში, მართვის ხელმძღვანელი აპარატის და მუდმივი მუშახელის სიმცირე, ძირითადი ფონდებით აღჭურვის შედარებით მაღალი დონე და ა. შ.) ყველაზე მისაღები იყო მათი გადაცემა არა მარტო შრომით კოლექტივებზე, არამედ მათი ფუნქციონირების ზონაში შემავალი ნედლეულის მწარმოებლებზე საპაიო საწყისებით ვაუჩერების გამოყენების გზით. ეს კი უზრუნველყოფდა ვაუჩერის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას. ამის დასტურია ათობით პირველადი გადამუშავების საწარმო, რომლებიც ფინანსური სიძნელეებისა და ნედლეულის უქონლობის გამო პრაქტიკულად უმოქმედოდ არიან.

გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ აშშ-ში ფერმერები საპაიო საწყისებზე თვითონ აფუძნებენ და ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის გადამამუშავებელ კოოპერატიულ საწარმოებს, რაც ბევრად რაციონალური და ეფექტიანია საკუთრების ფორმის, ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების, ხარისხის და სხვა ეკონომიკური მომენტების გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ აგრარული ფონდის დაფუძნების პროექტის დამუშავების საკითხი შეიძლება ობიექტურად დაისვას ევროგაერთიანების და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე და, ვფიქრობთ, მას სათანადო ეკონომიკური მხარდაჭერაც ექნება. მხედველობაში გვაქვს აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების რეალური მხარდაჭერა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ჰუმანიტარული პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს სოფლის მეურნეობის აღორძინე-[illegible] შემდგომი განვითარებისათვის მიმართავენ. ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (განსაკუთრებით მარცვლეულის) წარმოების გადიდება შედის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინტერესებში, რამდენადაც ეს მათ აძლევს დიდი მოცულობის ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირების თანდათან შემცირების საშუალებას. ჩვენთვის კი მას მხოლოდ ერთჯერადი მოხმარების ფუნქცია არ უნდა ეკისრებოდეს.

ფინანსური რესურსების გარეშე აგრარული რეფორმის რა ეფექტიანობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა სოფლად საქონელმწარმოებელს გადასაწყვეტი აქვს მინერალური სასუქების, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების, თესლის და სარწყავი წყლის პრობლემა. დღემდე ვერ მოხერხდა ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების, მათ შორის ტექნიკის გაქირავების პუნქტების გახსნა და საქონელმწარმოებელთა გარანტირებული მომსახურება ხელმისაწვდომ ფასებში. ტექნიკური მომსახურების სწორედ ასეთი ფორმაა დღეს გავრცელებული უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში.

სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა ეროვნული ვალუტა — ლარი მყარად იკავებს მის კუთვნილ [illegible] თანხა და გამოიყენონ ის თავისი შეხედულებისამებრ.

არ უნდა დაგვავიწყდეს: საქმე ეხება სასიცოცხლოდ აუცილებელ სექტორს, რომელიც დღეს განსაზღვრავს რესპუბლიკის, როგორც აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსს, სექტორს, რომელშიც დასაქმებულია რესპუბლიკის მთელი შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი და იქმნება შიდა ეროვნული პროდუქტის 70 პროცენტი. გვჯერა, რომ რესპუბლიკის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ადრე თუ გვიან, შექმნის მის შესატყვის, ადეკვატურ საწარმოო ინფრასტრუქტურას საგზაო-საზღვაო, ნავთობ და გაზსადენების კომუნიკაციების, საკურორტო და ტურიზმის მომსახურების კარგად ორგანიზებული ქსელის სახით. ეს იქნება წამძღვარი რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის ამჟამინდელი სტატუსის შესაცვლელად ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნის მიმართულებით. მოსალოდნელ დარგობრივ სტრუქტურულ ძვრებს, ბუნებრივია, მოჰყვება შრომითი რესურსების დასაქმების არეალის შეცვლა, მრეწველობის სხვადასხვა დარგების და სოციალური სფეროს სასარგებლოდ.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა მოწესრიგებასთან ერთად აგრარული სექტორის აღორძინების ინტერესები ასევე ობიექტურად მოითხოვს ახლო და სამომავლო ამოცანათა სწორად განსაზღვრას, პრიორიტეტების შერჩევასა და რეალიზებას.

დღეს, როგორც ცნობილია, იძირკვება არა მარტო შეუფერებელ ადგილებში გაშენებული, ასევე ამორტიზებული მრავალწლოვანი ნარგავები (1987 წლიდან რესპუბლიკაში ახალი ფართობები, არ გაშენებულა, ამოძირკვით კი რამდენიმე ათასი ჰექტარი ამოიძირკვა). გამოთავისუფლებულ ნაკვეთებზე ერთწლოვანი კულტურების თესვით და მოვლა-მოყვანით მოსახლეობა ერთგვარად წყვეტს საკვები პროდუქტებით თვითუზრუნველ-[illegible] მოშლის და პროდუქციის ხარისხისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნების, ხოლო, მეორე მხრივ, გზისა და ტრანსპორტირების პრობლემების გამო პროდუქციის რეალიზაცია საგარეო ბაზრებზე (განსაკუთრებით ღვინოარყის, ჩაის, ციტრუსების, ხილის და ა. შ.) პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. სწორედ ესაა მიზეზი მრავალწლოვანი ნარგავების ამოძირკვის დაჩქარებისა და არა არასწორად გატარებული აგრარული რეფორმის პირველი ეტაპისა, როგორც ამას დღეს ზოგიერთი ქადაგებს. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემების მოხსნამდე ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება (ეს პროცესი შექმნილ სიტუაციაში რეფორმის გარეშეც დაიწყებოდა) და მისი შეწყვეტის პირველი მაცნე ახლად გაშენებული მრავალწლოვანი ნარგავების პირველი ჰექტრები იქნება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ოპტიმალური ვარიანტი უნდა მოიცავდეს არა მარტო სასურსათო დანიშნულების, ან მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული დარგის პარამეტრებს, არამედ მათ ისეთ შეთანაწყობას, რომლის დროსაც მაქსიმალური უკუგებით გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა აუცილებელი პირობა, — მიწის, შრომის და კაპიტალის სახით. ეს პრინციპი თავის მხრივ მოითხოვს დარგთა და კულტურათა პრიორიტეტების განსაზღვრას დროში, მათ შეთანაწყობას ტერიტორიაზე და, რაც მთავარია, მის რეგულირებას, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

მხოლოდ ამ პირობის რეალიზაციის შემდეგ, რომელიც საბოლოო ანგარიშით რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის შეცვლას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების ობიექტურ აუცილებლობას უკავშირდება, შეიძლება განვაცხადოთ თამამად: — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას შეუძლია არა მარტო სრულფასოვნად გამოკვებოს საკუთარი მოსახლეობა, არამედ დახმარების ხელიც გაუწოდოს განვითარების გზაზე დამდგარ სხვა ქვეყნებს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე უნდა დაჩქარდეს საბირჟო და მარკეტინგული საქმიანობის მარეგულირებელი ბაზის შექმნა, სოფლად დარჩენილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით აგრარული რეფორმის მომდევნო ეტაპის განხორციელება და საბაზრო ინფრასტრუქტურის ორგანიზებული სრულყოფა. აუცილებლობის რანგი უნდა მიენიჭოს რესპუბლიკის შიდა და გარე ბაზრების მარკეტინგულ შესწავლას და მიწის კადასტრის საინფორმაციო სისტემის დამუშავებას — როგორც მიწის ბაზრის ფორმირების ერთ-ერთ აუცილებელ და ძირითად პირობას. ჩვენი აზრით, ამ პრობლემების დარეგულირება უნდა გახდეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების უშუალო ტექნიკური დახმარების საგანი, თუნდაც იმიტომ, რომ მიწის ბაზრის ფორმირება საბოლოო ანგარიშით [illegible]

პაატა კოღუაშვილი,
[illegible]

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ედუარდ შევარდნაძის ტრიუმფი

ასე აფასებს იტალიის „რა ინტერნეშნლის" სააგენტო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ქვეყნის პრეზიდენტად არჩევას. მსოფლიოს მთელი რიგი სააგენტოები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი დიდად გამოცდილი პოლიტიკოსის გამარჯვება დასავლეთში არ აეჭვებდათ, რაც დადასტურდა კიდეც. იმასაც აღნიშნავენ, რომ შევარდნაძის მხარდამჭერმა პარტიებმაც შეძლეს პარლამენტის არჩევნებში შთამბეჭდავი გამარჯვების მიღწევა, თუმცა ზოგიერთ საარჩევნო პუნქტში იყო ასეთი დიდი კამპანიისათვის დამახასიათებელი რიგი ხარვეზიც. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერმა უკვე იერუსალიმში მიულოცა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტს ქართველი ხალხის ესოდენ დიდი ნდობის მოპოვება.

მინისტრები ბრიუსელში ხვდებიან

ოთხშაბათს ბელგიის დედაქალაქში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრების უილიამ პერისა და პაველ გრაჩოვის შეხვედრა. მოლაპარაკების მთავარი თემაა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მრავალეროვნულ ძალებში რუსეთის შეიარაღებული კონტინგენტის მონაწილეობის საკითხი, როგორც ცნობილია, რუსეთი წინააღმდეგია დაუქვემდებაროს თავისი ქვედანაყოფი ნატოს სარდლობას.

საფრანგეთის ახალი მთავრობა

საფრანგეთში, 1958 წლიდან, მეხუთე რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, პირველად მოხდა, რომ მთავრობამ სულ ხუთი თვე იარსება. პრემიერ-მინისტრმა ალან ჟიუპემ მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია და ახალი კაბინეტი შექმნა, რომელშიც 42-ის ნაცვლად 32 მინისტრია. კაბინეტში ქალების რაოდენობა 12-დან 4-მდე შემცირდა. რეორგანიზაცია დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებულ მომავალ ღონისძიებებთან.

მიტინგები რუსეთის ქალაქებში

ოქტომბრის რევოლუციის 78-ე წლისთავის აღსანიშნავად რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში საზეიმო მიტინგები და მსვლელობა გაიმართა. როგორც აღნიშნავენ, მოსკოვში საზეიმო მსვლელობაში დაახლოებით 10 ათასამდე მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. მიტინგზე გამოსულმა რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა განაცხადა, რომ კომუნისტები არ აპირებენ ახალი რევოლუციის მოხდენას, რომ ისინი კანონიერი გზით შეძლებენ თავისი ადგილის დამკვიდრებას ქვეყნის ცხოვრებაში.

გაიმართა შეხვედრა

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი შიმონ პერესი შეხვდა იორდანიის მემკვიდრეს პრინც ჰასანს. როგორც აღნიშნავენ, განიხილეს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები. ისრაელმა უკვე გასცა ბრძანება გაგრძელდეს ისრაელის ჯარების გამოყვანა ტერიტორიებიდან, რომელიც პალესტინის ავტონომიის შემადგენლობაში უნდა გადავიდეს.

რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარდება

საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი შიმონ პერესი არ აპირებს ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას. მან გადაწყვიტა შეასრულოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობა 1996 წლის ნოემბრამდე.

ფრანიო ტუჯმანი ოგაიოში დაბრუნდა

ხორვატიის პრეზიდენტი ფრანიო ტუჯმანი, რომელიც ხორვატიაში არჩევნებთან დაკავშირებით დროებით ზაგრებს გაემგზავრა (მოლაპარაკება თავის წარმომადგენელს დაავალა) ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, რათა პირადად განაგრძოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში, რომელიც მიმდინარეობს სამ პრეზიდენტს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და ევროკავშირის შუამავლობით. აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება რთულ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მისი მონაწილეები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, როგორც აღნიშნავენ სერბიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა მოლაპარაკებას წარმატებული უწოდა.

ჯერ ვერ შეთანხმდნენ

ბრიუსელში ნატოს წევრის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იხილავდნენ საკითხს თუ ვინ შეცვლის ნატოს გენერალურ მდივნის პოსტზე კლაესს, რომელიც იძულებული იყო თანამდებობიდან გადამდგარიყო თავის ქვეყანაში მინისტრად ყოფნის დროს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ამ პოსტზე მთავარი კანდიდატურები არიან ნიდერლანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლიუბერსი და დანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ენსენი, ფიქრობენ, რომ უპირატესობა ლიუბერსის კანდიდატურას მიენიჭება. პარასკევისათვის დანიშნულია ნატოს საგარეო უწყებათა მეთაურების შემდგომი შეხვედრა.

პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური

კვირას, პოლონეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმების საჭირო რაოდენობა. 19 ნოემბრისათვის დანიშნული არჩევნების მეორე ტურში კენჭს იყრიან მემარცხენე ძალების ლიდერი, ყოფილი კომუნისტი ორმოცი წლის ალექსანდრე კვაშნევსკი და ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ლეხ ვალენსა, პირველმა ხმების 35 პროცენტზე მეტი მოაგროვა, მეორემ — 32 პროცენტი. პრეზიდენტობის სამმა კანდიდატმა, რომლებიც პირველ ტურში გავიდნენ, მხარდაჭერა ლეხ ვალენსას გამოუცხადეს, მათ შორის იაცეკ კურონმა, რომელმაც პირველ ტურში მესამე ადგილი დაიკავა. მან მოუწოდა თავის მომხრეებს „თავისუფლების კავშირიდან" მხარი დაუჭირონ ვალენსას.

„ლიკუდის" ლიდერები უარ[illegible]

ისრაელის პარტიათა გაერთიანების „ლიკუდის" ლიდე[illegible] კანიაჰუმ და სხვა ხელმძღვანელებმა უარყვეს ბრალდებები, რომლებიც მათი მისამართით გაისმის ექსტრემისტული განწყობილების გაღვივებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მათდამი უკმაყოფილება გამოხატა აგრეთვე მოკლული პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის ქვრივმა.

ჩეჩნეთს განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს

ორშაბათს გროზნოში, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა დოკუ ზავგაევმა განაცხადა, რომ რესპუბლიკას განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს. თავისი ავტონომია უნდა აგოს რუსეთის კონსტიტუციის ფარგლებში, რომ ქვეყნის სტატუსის შესახებ რეფერენდუმი უნდა გაიმართოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა არჩევნების ჩატარებაზე სამოქალაქო თანხმობის მიაღწევენ. მან თქვა, რომ მზადდება ჩეჩნეთის რესპუბლიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობის პრინციპების შეთანხმება. თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აირჩევენ, ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას რუსეთსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის უფლებამოსილებათა დელგირების შესახებ.

რეგისტრაციაში გაატარეს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (პარლამენტის ქვედა პალატამ) არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საარჩევნო გაერთიანება „იაბლოკოს" (ლიდერი იგორ იავლინსკი) კანდიდატების სია. ადრე ამ გაერთიანებას რეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ არ იყო წარმოდგენილი ექვსი კაცის წერილობითი განცხადება, რომელშიც ისინი წინააღმდეგი არ იყვნენ ამოეღოთ მათი გვარები „იაბლოკოს" სიიდან. რუსეთის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბლოკის საჩივარი და იგი მონაწილეობას მიიღებს 17 დეკემბრის არჩევნებში.

გაიმართება შეხვედრა

ბავარიაში, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების პოლიგონზე გაიმართება გერმანიის თავდაცვის ფედერალური მინისტრის ფოლკერ რიუეს შეხვედრა ამერიკის სამხედრო უწყების მეთაურთან უილიამ პერისთან. ბონელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მინისტრები განიხილავენ ბოსნიაში მრავალეროვნულ ძალებში რუსეთის მონაწილეობის საკითხს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ადმინისტრაციული სახდელები

ქაოსი უნდა აღიკვეთოს

ადმინისტრაციული კანონმ[illegible]ებლობა ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, რომლის დაცვასა და შესრულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სახელმწიფო წესრიგის უზრუნველსაყოფად, ისე მმართველობის სფეროში მოქალაქეთა მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისად. უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა თავისი გავლენა იქონია მიმდინარე ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე, რომელიც თანდათანობით იძენს თავს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს და ეროვნული ინტერესების და დემოკრატიის [illegible] დგება.

ამ პროცესში დისონანსი შეაქვს რესპუბლიკაში ფეხმოკიდებულ პრაქტიკას, როცა სახელმწიფო მმართველობის ცალკეული სტრუქტურები აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ხელაღებით აწესებენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთ ზომებს, რომლებიც სცილდება ამ ორგანოთა კომპეტენციას და ხელს უშლის კანონიერების პრინციპის განუხრელად გატარებას.

ცნობილია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობა საერთორესპუბლიკურ კომპეტენციას განეკუთვნება და ამიტომ არც დარგობრივ და არც ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უფლება არა აქვთ ცვლილებები და დამატებები შეიტანონ პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებში. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი ხშირად პროკურატურის ორგანოების ზედამხედველობის მიღმაა დარჩენილი.

დღეს, როცა საქართველომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელმაც მყარი სამართლებრივი ბაზა შექმნა ყველა სფეროში პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელად დაცვისათვის, რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში, მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, განსხვავებული ადმინისტრაციული კანონმდებლობის დაწესება უხეშად ხელყოფს მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ასეთი მანკიერი პრაქტიკა სახელმწიფო ინტერესების დაცვის მომიზეზებით ფართოდ არის ფეხმოკიდებული თბილისში, ბათუმში, ქვემო ქართლში, ქუთაისში და ზოგიერთ სხვა რეგიონში. აქ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მიღებული აქვთ ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება რესპუბლიკურ კანონმდებლობას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ. ისინი თვითნებურად აწესებენ გაზრდილ ადმინისტრაციულ სახდელებს, რაც საბოლოოდ მძიმედ აწვება რესპუბლიკის ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას.

ასე, მაგალითად, 1994 წლის 5 ოქტომბერს თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით არასწორად გაზარდეს ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისათვის, რამაც რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორასმაგი(!) რაოდენობა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 119-ე მუხლი აღნიშნული დარღვევისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას 10 მინიმალური ხელფასის ოდენობით. ვაჭრობის წესების, სანიტარული, საგზაო მოძრაობისა და ზოგიერთი სხვა ადმინისტრაციული დარღვევისათვის გაზრდილი ადმინისტრაციული [illegible]

ვალერი ლორია,
[illegible]

პარტიებსა და მოძრაობებში

მოსახლეობას ისეთს არაფერს შევპირებივართ, რასაც ვერ შევასრულებთ

მოქალაქეთა კავშირის ეკონომიკური პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას. უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებებთან. ამ პროგრამის მიხედვით 2000 წლამდე უნდა დასაქმდეს მილიონამდე კაცი, 2000 წლისათვის საქართველოში უმუშევრობის დონემ არ უნდა გადააჭარბოს 5 პროცენტს.

— მოსახლეობას ისეთს არაფერს შევპირებივართ, რასაც ვერ შევასრულებთ. ჩვენი სჯერათ და ეიმედებათ, ამიტომაც მოვიპოვეთ ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა, — განაცხადა მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ კავშირის შტაბ-ბინაში, 6 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე. იგი მიეძღვნა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პირველ შედეგებს.

— წინასწარი მონაცემებით, — თქვა ზურაბ ჟვანიამ, — სახელმწიფოს მეთაურმა საქართველოს მოსახლეობისაგან მიიღო პირველი კონსტიტუციური მანდატი, ხოლო მოქალაქეთა კავშირმა მოაგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა. ჩვენ ამ წარმატებას ვაფასებთ როგორც მოსახლეობისგან ორმაგი მანდატის მიღებას, იმ ადამიანებს გამარჯვებად, რომლებიც ჩვენი კავშირის ბირთვს წარმოადგენენ.

აღნიშნა, რომ წინასწარი მონაცემებით, პარტიული სიის მიხედვით მოქალაქეთა კავშირმა დააგროვა ხმების 30-35 პროცენტი. პირველ ტურში წარმატებას მიაღწიეს მოქალაქეთა კავშირის დეპუტატობის 13 მაჟორიტარმა და 20 დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

ზურაბ ჟვანიამ გამარჯვება მიულოცა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს, რომლებმაც უკვე გადალახეს 5-პროცენტიანი ბარიერი, გამოთქვა პარლამენტში მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილი.

შეკითხვაზე, ხომ არ გადაიქცევიან პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები დესტრუქციულ ოპოზიციად, ზურაბ ჟვანიამ უპასუხა, რომ 5 ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობაში და ვერავითარი დესტრუქციული ძალები მას პრობლემებს ვერ შეუქმნის. თუმცა, — დაუმატა მან, — არავითარი ინფორმაცია არ მაქვს ასეთი რამ ვივარაუდოთ.

— წინასწარი მონაცემებით საპრეზიდენტო არჩევნებში სახელმწიფოს მეთაურმა ხმების 73,4 პროცენტი მიიღო. ეს მისი რეალისტური პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა, — აღნიშნა ელდარ შენგელაიამ, დეპუტატობის კანდიდატმა მოქალაქეთა კავშირიდან.

ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ, მოქალაქეთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ რეზო ჩხეიძემ ისაუბრეს კავშირის ეკონომიკურ პლატფორმაზე. აღნიშნეს, რომ საარჩევნო პროგრამა შედგენილი იყო მეცნიერულ დონეზე. მადლობა გადაუხადეს ყველას, ვინც საარჩევნო კამპანიაში მხარი დაუჭირა მოქალაქეთა კავშირს.

„ეროვნული მოძრაობა გადარჩენილია და იგი იარსებებს, სანამ სახელმწიფო და საზოგადოება არ გამთლიანდება“

— **გაიმარჯვა** ხელისუფლებამ, სტრუქტურამ და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. მოქალაქეთა კავშირისა და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის გამარჯვება პიროვნულმა ფაქტორმა განაპირობა. მათი დასაყრდენი ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე იყვნენ. ჩვენი პარტია კი არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა როგორც პოლიტიკური ძალა, — განაცხადეს 7 ნოემბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მამუკა გიორგაძემ, გიორგი კობახიძემ და ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ.

ითქვა, რომ ტექნიკური დარღვევების მიუხედავად, არჩევნები საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა. ედპ-ს დევიზია „სიმართლე ყველგან და ყველაფერში“, მომავალშიც ამ გზით ვივლით, — თქვეს მათ. ის პარტიები, რომლებიც თავიანთ აზრს მხოლოდ შთამომავლობისთვის აფიქსირებდნენ, პარლამენტის გარეთ აღმოჩნდნენ. ჩვენ სერიოზული პოლიტიკური ძალა ვართ და ვეცდებით გაიზარდოს ჩვენი დასაყრდენი პარლამენტშიო.

შეკითხვაზე, აპირებს თუ არა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლას, ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იქნება ხელისუფლების სამოქმედო პროგრამაზე. კრიტიკა არავისთვის არ უნდა იყოს თვითმიზანი, — თქვა მან, — მზად ვარ ყველა სასიკეთო ინიციატივას მხარი დავუჭირო.

არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით რესპუბლიკური პარტიის მარცხისა და ტრადიციონალისტების წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ედპ მიიჩნევს იმას, რომ მათ დაკარგეს საკუთარი ამომრჩეველი. რესპუბლიკელები არჩევნებამდეც გრძნობდნენ თავიანთ მარცხს, გაერთიანების შემდეგ პარტიაში არ იყო ერთიანი გუნდი, ერთიანი ინტერესები, ერთი გამოკვეთილი პროგრამა. პარლამენტში ჩვენ ვთანამშრომლობდით რესპუბლიკელებთან და ვწუხვართ მათი მარცხის გამოო. რაც შეეხება ტრადიციონალისტებს, ისინი საკუთარ აბლაბუდაში გაიხლართნენ, ყველასთან „თამაშობდნენ“, ყველას ყველაფერს პირდებოდნენ და არასოდეს არ არქმევდნენ საგნებს ნამდვილ სახელებსო.

შეკითხვაზე, არჩევნების წინასწარი შედეგები ხომ არ მიუთითებს ეროვნული მოძრაობის მარცხზე, ხომ არ წააგო ეროვნულმა მოძრაობამო, მათ უპასუხეს, ეროვნული მოძრაობა გადარჩენილია და იგი იარსებებს მანამ, სანამ სახელმწიფო და საზოგადოება არ გამთლიანდებაო.

მზია გელენავა.

ეს ჩვენი საქართველოა



თბილისი, სასტუმრო „მეტეხი“. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ზამთარი მოდის, ზამთრისათვის მზად ვართ

თბილისის სკოლებსა და საავადმყოფოებს წლევანდელი ცივი ზამთარი არ ელის. თითქმის ყველგან დამთავრდა შენობათა პირველადი დათბუნების სამუშაოები. 200-ზე მეტ სკოლასა და 30 საავადმყოფოში მთლიანად ჩასვეს მინები, ხოლო სადაც ჩარჩოები, კარი გამოცვლას საჭიროებდა, გამოიცვალა, განახლდა სახურავი. ნახევარზე მეტით შესრულდა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ელექტროენერგიის დამოუკიდებელი წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამაც. სამუშაოები გრძელდება შემუშავებული გრაფიკის მიხედვით და არის სრული რწმენა, რომ პიკურ ზამთრის პერიოდში საავადმყოფოებისა და ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების მომარაგება ნორმალური იქნება. მთავარია, რომ თელასმა, მისმა რაიონულმა სამმართველოებმა მოაწესრიგონ ქვესადგურები, ენერგოკიოსკები. სამწუხაროდ, ქალაქში არ არის ისეთი რაიონი, სადაც არ იყოს ნაკლოვანებანი თელასის განყოფილებათა მუშაობაში.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის დედაქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროგრამის რეალიზაციისთვისაც. მთელ რიგ ქუჩებში, განსაკუთრებით ქალაქის ძველ რაიონებში, — მთაწმინდის, ისნის, ნაძალადევის რაიონებში, — მთლიანად განახლდა წყლისა და კანალიზაციის სისტემები. ქალაქში უკვე შეკეთებული და შემოტანილი სხვადასხვა ტიპის ტუმბოები გრაფიკის დაცვის შეუფერხებლად მიაწვდიან წყალს საცხოვრებელ უბნებს.

სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ამ პროგრამების წარმატებულ რეალიზაციას ხელი შეუწყო იმან, რომ საქართველოს მსოფლიო ბანკმა გამოუყო 18,5 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი სპეციალურად საქართველოს რესპუბლიკაში მუნიციპალური სტრუქტურის სარეაბილიტაციოდ.

ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექს ჯორჯია ინტერნეიშნლის“ ერთ-ერთი პროგრამის ეგიდით საქართველოს დაეხმარება ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა საპარლამენტო კომისიაც, რომელსაც კოლუმბიის უნივერსიტეტის პედიატრიისა და მეანობის სამედიცინო სკოლის პროფესორი ელისაბედ ჯეიმსი მეთაურობს. როგორც თავად ე. ჯეიმსმა თქვა, მას შემდეგ, როცა ეწვია თბილისის მთელ რიგ საავადმყოფოებსა და სკოლებს, დაისახა სამედიცინო დაწესებულებებისა და სასწავლებლების, უწინარეს ყოვლისა, სამშობიარო სახლებისათვის დახმარების გაწევის ახალი პერსპექტივები. დახმარება ითვალისწინებს არა მარტო საჭირო მოწყობილობის მიწოდებას, შენობათა შეკეთებას, გასათბობი ხელსაწყოების განახლებას, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველ სპეციალისტთა სტაჟირებასაც.

საქინფორმი

ამინდი

9 ნოემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, მაღალმთიან რაიონებში თოვლი, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში — ღამით 5-10, დღისით 15-20, მთაში — ღამით 2-7, დღისით 10-15, მაღალ მთაში — ღამით —1 +4, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მაღალმთიან რაიონებში თოვლი, იქროლებს წამში 9-14, ზოგან 15-20 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში — ღამით 3-8, დღისით 12-17, მთაში — ღამით 0-5, დღისით 8-13, მაღალ მთაში — ღამით —3+2, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

თბილისში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბნებში 15-20 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 6-8, დღისით 15-17 გრადუსი სითბო.

1995 წლის 8 ნოემბერს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9477	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1252	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9725	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4287	ლარი
გერმანული მარკა	0.8815	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7867	ლარი
დანიური კრონი	0.2273	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.7829	ლარი
კანადური დოლარი	0.9259	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.2000	ლარი
აშშ დოლარი	1.2500	ლარი
ფინური მარკა	0.2927	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2552	ლარი
შვედური კრონი	0.1888	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0955	ლარი
10 იაპონური იენი	0.1207	ლარი
ეკიუ	1.6189	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.1020	ლარი
100 ბერძნული დრაქმა	0.5354	ლარი
ირლანდიური გირვანქა	2.0175	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1940	ლარი
ქუვეითური დინარი	4.1639	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7795	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8363	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8823	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.2437	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3681	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2500	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2821	ლარი
ლატვიური ლატი	2.0706	ლარი
10 ესტონური კრონი	0.9948	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6475	ლარი
10 ყაზახეთის ტენგე	0.1772	ლარი
მოლდავეთის ლეი	0.2489	ლარი
ყირგიზეთის სომი	0.1039	ლარი
10 000 ბელორუსიის მანეთი	0.9795	ლარი
10 უზბეკეთის სუმი	0.3339	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2500	ლარი
100 სომხური დრამი	0.2790	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

სხვა გაზეთებიდან

ბავშვებისათვის სუპერვაქცინა მზადდება

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფი, როგორც სტოკჰოლმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, განაგრძობს მუშაობას სუპერვაქცინის შესაქმნელად. ამ ვაქცინამ დაახლოებით მილიარდი (!) ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი უნდა იხსნას ბევრი სამიში, მათ შორის, მომაკვდინებელი დაავადებისაგან.

ქალაქ გეტებორგის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა იან კოლგრენმა, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ვაქცინას ახალშობილთ შეუყვანენ ორგანიზმში კაფსულის სახით, რომლის ცალკეული შემადგენელი ნაწილები თანამიმდევრულად გაიხსნება სისხლში დროის სხვადასხვა მონაკვეთში: ზოგი — ერთბაშად, ზოგი — ორი კვირის შემდეგ, ხოლო ზოგი — წლის ან მეტი ხნის გასვლისას.

„დღეს ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, — თქვა პროფესორმა, — რომ უკვე შექმნილია მიკროკაფსულა ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინით. მისი ერთი მცირე დოზა ახლანდელი სამის ტოლფასია. არცთუ შორეულ მომავალში შემუშავდება ასეთი მიკროკაფსულები სხვა სამიშ დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინებით“.

მუშაობა ამ „რევოლუციურ პრეპარატზე“, როგორც მას შვეციის პრესა უწოდებს, 1990 წლიდან წარმოებს „ბავშვთა ვაქცინაციის ინიციატივის“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც მხარი დაუჭირეს გაერომ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მსოფლიო ბანკმა, შვეციის განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების ორგანიზაციამ და მთელმა რიგმა სხვა გაერთიანებებმა.

სუპერვაქცინა განსაკუთრებით გამოადგებათ ბავშვებს აზია-აფრიკის ქვეყნებში, სადაც ინფექციური სნეულებებით დაავადების რისკი დაახლოებით 100-ჯერ მეტია, ვიდრე ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში.

მედიცინის სიახლენი

როდესაც ვიძინებთ, მეხსიერება განაგრძობს მუშაობას

[illegible] ამბების თვალწინ [illegible]ახვის უნარი ადამიანის [illegible] ერთ-ერთი ყველაზე საოცარი თავისებურებაა. უახლესი გამოკვლევების შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „მყისიერი მოგონებანი“ სტაბილურად ტრანსფორმირდება ძილის დროს, ანუ იმ ფაზაში, როდესაც ადამიანი სიზმარს არ ხედავს.

გრძნობის არხებით ინფორმაცია თავდაპირველად შედის თავის ტვინის ქერქში და იქ ანალიზდება, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება მისი თვისებრივი დახარისხება. ერთი ნაწილი თავდაპირველად ხდება ასოციაციების განყოფილებაში, მეორე — თავიდანვე შედის მეხსიერების ძირითად არქივში.

ამასთან საკვანძო მნიშვნელობა აქვს ტვინის იმ მონაკვეთს, რომელიც ფორმით ზღვის ცხენთევზას წააგავს. მეცნიერები აღწერენ პაციენტის ტრაგიკულ ბედს, რომელსაც ეპილეფსიის მკურნალობის დროს ამოკვეთეს ტვინის ეს ნაწილი. ამას სავალალო შედეგები მოჰყვა. პაციენტი ვეღარ იხსომებდა იმას, რაც რამდენიმე წამზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ხოლო იმ ამბების მოგონებები, რომლებიც ორი-სამი წლით ადრე მომხდარა, საერთოდ წაიშალა.

მოგონებანი დამკვიდრების შემდეგ საკუთარ სიცოცხლეს იწყებენ. მაგრამ ვინაიდან რაღაც სიუჟეტის საბოლოო დახსომება გარკვეულ დროს მოითხოვს, იბადება კითხვა, როდის ხდება ეს. ეს პროცესი ძილში მიმდინარეობს.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ ქალები განიცდიდნენ გარდამავალი ასაკის სიძნელეებს

ქალობა თავისთავად ძნელი ხვედრია. განსაკუთრებით რთულდება იგი გარკვეულ ასაკში, როდესაც ქალი კარგავს შვილოსნობის ფუნქციას, ორგანიზმი გარდაიქმნება, თუმცა ამ დროს ქალი სულაც არ გრძნობს თავს მოხუცად.

ეს ასაკი უკავშირდება არა მარტო უსიამოვნო შეგრძნებებს, როდესაც ქალს დროდადრო „წამოახურებს“ ხოლმე, არამედ ქალის ჰორმონის არარსებობა მკვეთრად ზრდის გულ-სისხლძარღვთა კატასტროფების შესაძლებლობას: ქალები თანდათან ეწევიან, ხოლო ზოგჯერ უსწრებენ კიდეც მამაკაცებს მიოკარდიუმის ინფარქტის რიცხვით. მაგრამ ნამდვილი კატასტროფა, რომელიც ყოველ მეორე ქალს ელოდება, — ეს არის ძვლების მეტისმეტი სიმყიფე, მასთან დაკავშირებული ტკივილები და მოტეხილობანი. საკმაოდ ხშირია მენჯის ძვლის ყელის მოტეხილობა, რაც სარეცელზე აჯაჭვებს ავადმყოფს და ისე ძვირი ღირს, რომ პატარა დანიასაც კი სერიოზული ეკონომიკური ზარალი ადგება (ჩვენში ეს ხარჯები ჯერ არავის დაუანგარიშებია, — სად გვცალია საამისოდ).

პროფესორი ვერა სმეტნიკი ხელმძღვანელობს გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის განყოფილებას რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მეანობის, გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, მის განყოფილებაში შეძენილია საინტერესო გამოცდილება. როდესაც ქალები მცირე დოზით იღებენ ნატურალური ჰორმონების გამამხნევებელ დოზებს, ეს ამცირებს სისხლძარღვთა გართულებების რისკს და ხსნის უსიამო შეგრძნებებს. ამ შემთხვევაში უბრალოდ არ დგება ძვლებიდან კალციუმის „წარეცხვის“ პროცესი. ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით შერჩეული ჰორმონის მზოგავი დოზების მიღება დიდხანს შეიძლება. ჰორმონების მიღების ინდივიდუალური სქემა საშუალებას აძლევს ქალს შეინარჩუნოს არა მარტო შრომის უნარი, არამედ აგრეთვე ხმის ტემბრი და ქალურობის სხვა ნიშან-თვისებები, რაც ფრიად მნიშვნელოვანია.

ჩვენი ექიმები შეძლებენ ზუსტად განსაზღვრონ ქალის ძვლების მდგომარეობა რისკის ასაკში განსაკუთრებული ხელსაწყოს — დენსიტომეტრის მეშვეობით. გამოკვლევის დროს დასხივების დოზა უაღრესად მცირეა. ქუსლის ან მაჯის მდგომარეობის მიხედვით ექიმს შეუძლია იმსჯელოს, თუ რამდენად ჯანსაღია ძვლის ქსოვილები, და დროზე დაეხმაროს ქალებს.

მშვიდობით, სიქაჩლევ!

ლამაზსა და ხშირ თმებზე მსოფლიოს მილიონობით მამაკაცი და ქალი ოცნებობს. ამ ოცნების აღსასრულებლად ბიოლოგმა რობერტ ჰოფმანმა თმის მკურნალობის ახალი მეცნიერული მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ამას წინათ ჟურნალ „ნეიჩურ მედისინის“ მკითხველებს გააცნო: მიკროსკოპულად მცირე ცხიმოვან ბურთულებს, ე. წ. ლიპოსომებს, თურმე შეძლებიათ თმის ფოლიკულების უჯრედებში გადაიტანონ მღებავი პიგმენტები, დამცველი პროტეინები და თმის ზრდის გენები. „ჩვენ პირველებმა დავამტკიცეთ, რომ ეს შესაძლებელია და ამით მოლეკულურ დონეზე თმის გამოკვლევის ახალი ერა დავიწყეთ. ჩვენ კარი გავაღეთ“, — განაცხადეს ჰოფმანმა და მისმა კოლეგამ, ჩინელმა ბიოლოგმა ლინ ლიმ.

ჟურნალისტები და ბიზნესმენები უმალ შეესივნენ ჰოფმანს, სამხრეთ კალიფორნიის პატარა ფირმის პრეზიდენტს. ლაბორატორიაში მკვლევარი დაუფარავი სიამაყით უჩვენებს მათ ლამბაქებს, რომლებშიც კანის მომცრო ნაჭრებზე თმები იზრდება. გამოდის, რომ გამელოტება ახლა შეიძლება სინჯარაში შეისწავლო. როდის გამოჩნდება ბაზარზე თმის ცვენის საწინააღმდეგო ეს პრეპარატი?

— ვფიქრობთ, ხუთიოდე წელიწადში, — ასე ვარაუდობს ჰოფმანი.

მის ლაბორატორიაში, რამდენიმე კვირის წინ, თეთრ თაგვებს ზურგზე შავი თმები ამოუვიდათ. ჰოფმანმა მათ გაპარსულ ადგილებზე გადაუსვა ლიპოსომები მღებავი პიგმენტით — მელანინით, რომელმაც თმის ფოლიკულებში შეაღწია. „ერთ-ორ წელიწადში ჩვენ ამგვარ ცდებს ადამიანებზეც ჩავატარებთ“, — ამბობენ ჰოფმანი და ლი.

პაციენტების ნაკლებობა მათ, რა თქმა უნდა, არ შეაწუხებთ: მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში თმის ცვენას უჩივის 35 მილიონი მამაკაცი და 20 მილიონი ქალი. გერმანიაში მკურნალობას თხოულობს რვა მილიონი ადამიანი. ამ უკანასკნელ წლებში თმის შეთხელება განსაკუთრებით ქალებში შეიმჩნევა.

ბიოლოგები ეძებენ ისეთ სასიგნალო ნივთიერებებს, რომლებიც სხვადასხვა უჯრედებს უბრძანებენ: „შექმენით თმები!“, ეძებენ გენებსაც, თმოვანი საფარის ზრდას რომ განაგებენ. შოტლანდიელმა მეცნიერმა კოლინ ჯეჰოდმა შეძლო თმა ამოეყვანა თაგვის თათებზე (აქ მათ თმა საერთოდ არა აქვთ).

მასალები მომზადებულია უცხოეთის სააგენტოების (**როიტერის, ასოშიეიტედ-პრესის, იტარ-ტასის**), აგრეთვე, გაზეთების „**იზვესტიის**“ და „**არგუმენტი ი ფაქტის**“ მიხედვით.

ჩოგანი

საჭადრაკო კალეიდოსკოპი

ბრაზილიაში გამართულ 10, 12, და 14 წლამდე ასაკის ყმაწვილთა მსოფლიო ჩემპიონატზე მორიგ წარმატებას მიაღწიეს ქართული საჭადრაკო სკოლის წარმომადგენლებმა — ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა შედეგების ნუსხა ასეთი გახლავთ:

I ადგილი

ფიდეს ოსტატი ვალერი ჯაფრინდაშვილი (14 წ.).

II ადგილი

ლევან არეშიძე (10 წ.).

III ადგილი

თამარ წერეთელი (10 წ.).

IV ადგილი

ფიდეს ოსტატი ანა მათნაძე (14 წ.).
შორენა ჯარბალაშვილი (12 წ.).

20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი ისრაელში დაიწყო. საქართველოს სახელით აქ ასპარეზობენ საერთაშორისო ოსტატი ნატო ეძგვერაძე და ფიდეს ოსტატი გიორგი ბახტაძე.

„ჩინური ოქრო“ — ქორქოლიანს

სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარე გოჩა ქორქოლიანი ჩინეთის ჩემპიონი გახდა. მისმა კლუბმა „შანხაიმ“ ეს ტიტული ფინიშამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა.

ევროპის სტადიონებზე

ბრძოლები ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები. გთავაზობთ ლიდერთა ჯგუფის სატურნირო მდგომარეობას:

იტალია. „მილანი“, „პარმა“ — 20-20, „ფიორენტინა“—18 ქულა.

ესპანეთი. „ატლეტიკო“ — 29, „ბარსელონა“ — 26, „ესპანიოლი“ — 24 ქულა.

გერმანია. „დორტმუნდი“, „ბაიერნი“ — 27-27, „ბორუსია“ — 25 ქულა.

ინგლისი. „ნიუკასლ იუნაიტედი“ — 31, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 26, „არსენალი“ — 24 ქულა.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — 34, „მეცი“ — 32, „ლანსი“ — 30 ქულა.

ჰოლანდია. „აიაქსი“ — 37, „ეინდჰოვენი“ — 32 ქულა.

ბელგია. „ბრიუგე“ — 31, „ანდერლეხტი“ — 30, „ლიერსი“ — 29 ქულა.

შოტლანდია. „გლაზგო რეინჯერსი“ — 28, „სელტიკი“ — 24, „ჰიბერნიანი“ — 22 ქულა.

საბერძნეთი. „პანათინაიკოსი“ — 23, „ოლიმპიაკოსი“ — 21, აეკი, „კრეტა“ — 19-19 ქულა.

პორტუგალია. „პორტო“ — 28, „სპორტინგი“ — 23, „ბოავიშტა“ — 22 ქულა.

ავსტრია. „რაპიდი“ — 35, „შტურმი“ — 27, „გრაცერი“ — 23 ქულა.

თურქეთი. „ტრაბზონსპორი“ — 29, „ფენერბახჩე“ — 27, „გალათასარაი“ — 25 ქულა.

სტუდენტური სპორტის ზეიმზე

ამ დღეებში უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა დედაქალაქის ვაკის პარკში — სტუდენტთა რესპუბლიკური საშემოდგომო კროსის სტარტზე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების 250-მდე მძლეოსანი გამოვიდა.

პირველ ჯგუფში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა სპორტის აკადემიის გუნდმა — 697 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (514) და აგრარული უნივერსიტეტის (345) წარმომადგენლებმა.

პირად ჩათვლაში ვაჟთა სამკილომეტრიანი დისტანციის ფინიშზე პირველი გახლდათ დავით სამხარაძე (სპორტის აკადემია). მის თანაგუნდელებს — დავით ჯულუხაძესა და მამუკა მაღლაკელიძეს შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები ხვდათ წილად.

გოგონათა შორისაც ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მძლავრობდნენ — უძლიერესი იყო კლარა ხომასურიძე, ვიქტორია გალკინამ კი მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე ელისო ფოლადაშვილი (თსუ) გავიდა.

მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სამხედრო აკადემია (312 ქულა), თსუ-ს სოხუმის ფილიალი (147) და ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი (114).

ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მადლიერების გრძნობით გვსურს მოვიხსენიოთ მისი ინიციატორი — საქართველოს სტუდენტთა ასოციაცია (გურამ მძელური) და მთავარი მსაჯი, ეროვნული კატეგორიის არბიტრი ნუხა გაგოშიძე.

ხსოვნა

რევაზ მერკვილაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რევაზ დავითის ძე მერკვილაძე. წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული, მდიდარი სულის ადამიანი.

დაიბადა 1941 წელს თბილისში. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო შრომითი საქმიანობა და მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე გამოდგა მისი სიცოცხლე, მაინც სანიმუშოდ განვლო ცხოვრება. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჯერ მასწავლებლად მუშაობდა დედაქალაქის მე-6 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, შემდეგ კი ასპირანტურის დამთავრებისთანავე, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. რევაზ მერკვილაძე ხანგრძლივად მუშაობდა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში. იყო პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი, თბილისის პროფტექგანათლების სამმართველოს უფროსი. 1987 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი. ნაყოფიერია ბატონ რევაზის ამ პერიოდის მოღვაწეობა, სადაც სრულად გამოვლინდა მისი დამოკიდებულება ახალგაზრდობის აღზრდისა და სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში.

რევაზ მერკვილაძე მრავალჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებით.

დაუღალავი მოღვაწის, კეთილი ადამიანის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცის რევაზ მერკვილაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი.

შვილი ეთერ ეგაძე, სიძე გელა გობეჯიშვილი, რძალი ნონა დოჟვირი, შვილიშვილები ეკა, ოთარ ეგაძეები, ბექა გოცაძე, გიგა გობეჯიშვილი, მძახლები თინა ძიძიგური, ნოე დოჟვირი, რძლები ქეთევან, ეთერ ეგაძეები, გალინა ფავლენიშვილი, ძმისწულები ლიანა, რეზო ეგაძეები, ბიძაშვილები ლეო, მარო ეგაძეები, ირაკლი საბაშვილი, ლია, ლერი, არჩილ ფავლენიშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ნიკოლოზის ძე ეგაძე

პანაშვიდი, 9, 10 XI 4 ს., გამოსვენება 11 XI, 3 ს. ჭავჭავაძის, 54.

გთავაზობთ!

უნაღდო ანგარიშსწორებით, ადგილზე მიწოდებით A.4 და A.3 ფორმატის საწერ, საბეჭდ და ქსეროქსის ქაღალდს; სახაზავ პერგამენტს. **ტელ: 38-91-64.**

ფირმა „მოდინახე“ ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს.
შევისყიდით ბიტუმს და მინაქსოვილს.
მისამართი: მ. წინამძღვრიშვილის 128/1 (ყოფ. კლ. ცეტკინის ქუჩა), **ტელ:** 96-80-99, დღისით, 22-08-58 ან 36-51-26 (საღამოს).

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 ნოემბერს.

მორიგე რედაქტორი ლერი ქიქნაძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60434. ტელ: 99-78-24. მთავარი რედაქტორი გურამ ზოტიაშვილი.